საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის
დადგენილება N 1
ქ. თბილისი 27 ივნისი 2003 წ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების დამტკიცების თაობაზე

"კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-20, 21-ე, 42-ე, 49-ე, 49^1, 49^2 მუხლების, "დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის, "სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 და 21-ე მუხლების შესაბამისად, კომისიამ **დაადგინა:**

1. დამტკიცდეს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესები (თან ერთვის);
2. დამტკიცდეს სალიცენზიო მოწმობის ფორმა (დანართი 1);
3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე;
4. დაევალოს კომისიის აპარატის იურიდიულ სამსახურს (ე.ასანიძე) დადგენილების საქართველოს ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში გატარება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კომისიის თავმჯდომარე: *ვ.აბაშიძე*

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესები

თავი 1. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ძირითადი დებულებები *(24.03.2006 N4)*

1. წინამდებარე მარეგულირებელი წესები მიღებულია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ, "დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, “ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” და “მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონების შესაბამისად, ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროებში კომისიის საქმიანობის რეგულირების უზრუნველსაყოფად.
2. ამ წესებში მოცემულია დებულებები:

ა) კომისიის წევრებისა და აპარატის მუშაკების პროფესიული და ეთიკური ქცევის, კომისიის ყოფილი წევრებისა და აპარატის ყოფილი თანამშრომლების ქცევის წესების შესახებ; ექს-პარტე შეტყობინების მიღებისა და განხილვის შესახებ;

ბ) მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობის პროცედურების შესახებ; კომისიის გადაწყვეტილებების, ჩანაწერებისა და სხვა დოკუმენტაციის, მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაციის და განხილვების დროს მიღებული ინფორმაციის შენახვისა და ხელმისაწვდომობის შესახებ;

გ) რეგულირების პროცესის გამჭვირვალობისა და საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად საჯარო განხილვების ჩატარების პროცედურების შესახებ;

დ) კომისიის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხების თაობაზე განცხადებების მიღების, განხილვისა და გადაწყვეტის პროცედურების შესახებ;

ე) კომისიის გადაწყვეტილებების მომზადებისა და გამოქვეყნების პროცედურების შესახებ; კომისიის გადაწყვეტილებების შესაძლო დარღვევის ფაქტების გამოკვლევისა და მათზე რეაგირების შესახებ;

ზ) ავტორიზებულ პირებს შორის, ლიცენზიის მფლობელებს შორის, ავტორიზებულ (ლიცენზირებულ) პირებსა და მომხმარებლებს შორის დავების განხილვისა და გადაწყვეტის შესახებ;

თ) მომხმარებელთა საჩივრების მიღების, განხილვისა და გადაწყვეტის პროცედურების შესახებ.

ი) სამოყვარულო რადიოსადგურების გამოყენების წესს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება *(24.03.2006 N4)*

ამ წესებში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლითა და "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და "დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული მნიშვნელობები, აგრეთვე შემდეგი მნიშვნელობები:

ა) გამოქვეყნება - ინტერნეტში კომისიის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნება;

ბ) ექს-პარტე შეტყობინება – მესამე პირის მიერ კომისიაში წერილობითი სახით შეტანილი შეტყობინება კომისიის სხდომის დღის წესრიგში შესულ ან კომისიის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით. ექს-პარტე შეტყობინება გამოიყენება იმ მიზნით, რომ კომისიას გააჩნდეს სრულყოფილი ინფორმაცია და მოქნილობა გადაწყვეტილების მიღებისას;

გ) დღე – კალენდარული დღე;

დ) სახმობი – ლათინური ასოებისა და ციფრებისაგან შედგენილი კომბინაცია, რომელშიც პირველი ორი ნიშანი აღნიშნავს ქვეყანას, ხოლო მომდევნო კონკრეტულ რადიოსადგურს;

ე) საზღვაო ხომალდის ამოცნობის ნიშანი – ცხრა ციფრისაგან შედგენილი აღნიშვნა, რომელშიც პირველი სამი ციფრი წარმოადგენს ამოცნობის ნიშნის

მიმნიჭებელი ადმინისტრაციის გეოგრაფიულ ზონას, ხოლო მომდევნო განსაზღვრავს კონკრეტულ რადიოსადგურს.

მუხლი 3. კომისიის წევრებისა და კომისიის აპარატის მუშაკების ინტერესთა კონფლიქტი, სხვა ეთიკური ნორმები *(24.03.2006 N4)*

1. კომისიის წევრებისა და კომისიის აპარატის მუშაკების ინტერესთა კონფლიქტის პირობები განისაზღვრება "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლით;

2. კომისიის წევრს და აპარატის მუშაკს უფლება არა აქვთ მიიღონ საჩუქარი იმ პირისგან ან ორგანიზაციისგან, რომელიც ექვემდებარება კომისიის უფლებამოსილებას. საჩუქარში იგულისხმება უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით გადაცემული ნებისმიერი ქონება ან ქონებრივი ვალდებულებისაგან გათავისუფლება, აგრეთვე იმ პირის მიერ აშკარად შეღავათიანი პირობებით გაწეული მომსახურება, რომელიც ასეთი მომსახურებისთვის, ჩვეულებრივ, იღებს გასამრჯელოს;

3. კომისიის წევრი და აპარატის მუშაკი ვალდებულნი არიან ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობისას განაცხადონ თვითაცილების შესახებ, თუ არსებობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები ან/და არსებობს სხვა გარემოება, რაც გავლენას მოახდენს საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტაზე;

4. კომისიის წევრს და აპარატის მუშაკს უფლება არა აქვთ თავიანთი სამსახურებრივი უფლებამოსილება ან მასთან დაკავშირებული შესაძლებლობა გამოიყენონ კომისიის ინტერესების საწინააღმდეგოდ ან იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც არ განეკუთვნება მათ სამსახურებრივ მოვალეობას.

5. კომისიის წევრს და აპარატის მუშაკს უფლება არა აქვთ გაამჟღავნონ ან არასამსახურებრივი მიზნებისთვის გამოიყენონ სახელმწიფო, პროფესიული, კომერციული ან პირადი საიდუმლოება, რაც მათთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების დროს. ვალდებულება ვრცელდება კომისიის ყოფილ წევრებსა და აპარატის ყოფილ მუშაკზეც.

6. კომისიის წევრს და აპარატის მუშაკს ეკრძალება:

ა) ქონებრივი გარიგების დადება კომისიასთან;

ბ) როგორც კომისიის წარმომადგენელმა, დადოს გარიგება პირთან, რომლის დამფუძნებელი, წილის (აქციების) მფლობელია ან მინიჭებული აქვს ხელმძღვანელობითი ან/და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება;

გ) როგორც კომისიის წარმომადგენელმა დადოს ქონებრივი გარიგება საკუთარი ოჯახის წევრთან.

თავი 2. ადმინისტრაციული წარმოება კომისიაში

მუხლი 4. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1. კომისიაში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია:

ა) დაინტერესებული პირის განცხადება;

ბ) კომისიისთვის კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულება ან მინიჭებული უფლებამოსილება – გამოსცეს ადმინისტრაციული ან ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტში გათვალისწინებულ შემთხვევაში ადმინისტრაციული წარმოება იწყება განცხადების რეგისტრაციის მომენტიდან. *(24.03.2006 N4)*

მუხლი 5. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება დაინტერესებული პირის განცხადებით *(14.07.2006 N7)*

1. დაინტერესებული პირის კომისიაში წარდგენილი განცხადება იწვევს კომისიის მიერ ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას, თუ იგი შეეხება კომისიის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებს.

2. განცხადებით ადმინისტრაციული წარმოება კომისიაში იწყება, თუ იგი შეიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ რეკვიზიტებს ან სულ ცოტა ქვემოთ ჩამოთვლილ მონაცემებს:

ა) განმცხადებლის ვინაობასა და მისამართს;

ბ) მოთხოვნას,

გ) განცხადების წარდგენის თარიღსა და განმცხადებლის ხელმოწერას;

დ) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში;

3. განცხადებას თან უნდა დაერთოს საბუთები, თუ მათ არსებობას ითვალისწინებს კანონმდებლობა ან ადასტურებენ განცხადებაში მოყვანილ მოთხოვნას, ან მათზე უთითებს განმცხადებელი.

4. განმცხადებელს უფლება აქვს წარუდგინოს კომისიას ყველა სხვა საბუთი, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

5. საერთაშორისო პროცედურების შესაბამისად მოსაზღვრე ქვეყნის მიერ კოორდინაციაზე წარმოდგენილი სიხშირის გამოყენების განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (ITU) მიერ დადგენილი ფორმით.

6. დეკლარაცია ავტორიზაციის შესახებ კომისიაში შეტანილ უნდა იქნას "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად;

7. სალიცენზიო განცხადება უნდა შეიცავდეს აუქციონის ან კონკურსის გამართვის შესახებ კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ მონაცემებს. სალიცენზიო განცხადებას თან უნდა დაერთოს "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" ან "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

8. განცხადება ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე შეტანილი უნდა იქნას კომისიაში ლიცენზიის მოქმედების ვადის გასვლამდე ერთი თვით ადრე. ამ ვადის დარღვევით შეტანილ განცხადებასთან დაკავშირებით კომისია

იღებს გადაწყვეტილებას მისი განუხილველად დატოვების შესახებ. ლიცენზიის გაგრძელებასთან დაკავშირებული სხვა ვადები და წესები განისაზღვრება "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" და "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონებით;

9. განცხადება სიხშირის მინიჭების თაობაზე უნდა აკმაყოფილებდეს ამ წესებით დადგენილ მოთხოვნებს.

10. განმცხადებელი უფლებამოსილია მოითხოვოს კომისიისთვის წარდგენილი პროფესიული, კომერციული ან პირადი საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის დაცვა. ამ შემთხვევაში მან უნდა მიუთითოს ინფორმაციის საიდუმლოების თაობაზე.

მუხლი 6. კომისიის მიერ ადმინისტარციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვალდებულება

კომისიის მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვალდებულებას წარმოადგენს:

ა) კომისიის მიერ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღება;

ბ) ლიცენზიის მფლობელის მიერ მოქმედი კანონმდებლობის (მათ შორის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის) ან ლიცენზიის პირობების დარღვევაზე, ან პირის მიერ ულიცენზიოდ საქმიანობაზე ადმინისტრაციული აქტის გამოცემა;

გ) მაუწყებლობის სიხშირეთა განაწილების გეგმის და პრიორიტეტების დადგენის შესახებ ადმინისტრაციული აქტის გამოცემა;

დ) საეთერო ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ ადმინისტრაციული აქტის გამოცემა;

ე) კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.

მუხლი 7. კომისიაში ადმინისტრაციული წარმოების სახეები *(24.03.2006 N4)*

1. კომისიის გადაწყვეტილებები მიიღება მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით, "ელექტრონული კომინიკაციების შესახებ" და "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონებით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

2. ადმინისტრაციული წარმოება კომისიაში მიმდინარეობს იმ თავისებურებათა გათვალისწინებით, რაც კოლეგიურ ადმინისტრაციულ ორგანოში ადმინისტრაციული წარმოებისთვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით არის დადგენილი.

3. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეს კომისია განიხილავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი 8. ამოღებულია *(24.03.2006 N4)*

მუხლი 9. წარმომადგენლობა კომისიაში

1. ამოღებულია *(24.03.2006 N4)*

2. მოქალაქეს ან იურიდიულ პირს შეუძლიათ კომისიაში საქმე აწარმოონ წარმომადგენლის მეშვეობით. წარმომადგენლის უფლებამოსილება უნდა ჩამოყალიბდეს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემულ და გაფორმებულ მინდობილობაში.

3. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებული მხარე, რომელსაც არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოში ან რეგისტრირებულია მისამართის მითითების გარეშე, ვალდებულია კომისიის მოთხოვნიდან 3 სამუშაო დღის ვადაში დანიშნოს წარმომადგენლად საქართველოში განსაზღვრულ მისამართზე რეგისტრირებული ქმედუნარიანი პირი, რომელსაც გაეგზავნება მისთვის განკუთვნილი ყველა საბუთი.

4. თუ პირი არ შეასრულებს ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულ მოთხოვნას, კომისიას ეხსნება დოკუმენტის გაგზავნის პასუხისმგებლობა და ეს არ შეიძლება გახდეს კომისიის ადმინისტრაციული აქტის ბათილად გამოცხადების საფუძველი, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა.

მუხლი 10. ექს-პარტე შეტყობინება

1. ნებისმიერი პირი უფლებამოსილია კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილ საკითხთან დაკავშირებით შეიტანოს კომისიაში ექს-პარტე შეტყობინება ამ საკითხის კომისიის სხდომაზე განხილვის დაწყებამდე.

2. ნებისმიერი პირი უფლებამოსილია კომისიისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით შეიტანოს კომისიაში ექს-პარტე შეტყობინება კომისიის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხთან დაკავშირებით.

3. ექს-პარტე შეტყობინება არ წარმოადგენს ადმინისტრაციული საქმისწარმოების დაწყების საფუძველს.

4. ექს-პარტე შეტყობინება რეგისტრირებულ უნდა იყოს ცალკე ჟურნალში, რომელშიც აღირიცხება: ექს-პარტე შეტყობინების შემტანი პირი, შეტანის თარიღი და მოკლე შინაარსი. ექს-პარტე შეტყობინების შემცველი დოკუმენტაციის და სარეგისტრაციო ჟურნალის კომისიაში შენახვა ხდება ამ წესების მე-19 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული წესით;

5. ექს-პარტე შეტყობინების კომისიაში რეგისტრაციის შემდგომ კომისია ვალდებულია შეამოწმოს მასში მოცემული ინფორმაცია და ფაქტები შეტყობინებასთან დაკავშირებული საკითხის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე. ამ მიზნით კომისია უფლებამოსილია გადადოს საკითხის განხილვა.

6. სხდომაზე ექს-პარტე შეტყობინებასთან დაკავშირებული საკითხის განხილვამდე კომისია იცავს ექს-პარტე შეტყობინების კონფიდენციალობას. კონფიდენციალურ ინფორმაციას არ წარმოადგენს ექს-პარტე შეტყობინების კომისიაში შეტანის ფაქტი და ცნობა შემტანი პირის შესახებ.

7. სხდომაზე კომისიამ უნდა იმსჯელოს შეტანილი ექს-პარტე შეტყობინების თაობაზე. ექს-პარტე შეტყობინების შემტანი პირი უფლებამოსილია დაესწროს კომისიის სხდომას.

თავი 3. კომისიის სამართლებრივი აქტების მიღების წესი

მუხლი 11. კომისიის სამართლებრივი აქტები *(24.03.2006 N4)*

1. კომისია კანონმდებლობით დადგენილი წესით, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, იღებს (გამოსცემს) სამართლებრივ აქტებს. კომისიის სამართლებრივ აქტებს განეკუთვნება კომისიის დადგენილება, კომისიის გადაწყვეტილება და კომისიის თავმჯდომარის ბრძანება.

2. კომისიის დადგენილება არის ნორმატიული სამართლებრივი აქტი, რომელიც მიიღება "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის, "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის, „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ" საქართველოს კანონის და სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით. *(14.07.2006 N7)*

3. კომისიის გადაწყვეტილება არის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც მიიღება კანონმდებლობით კომისიისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

4. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება ისეთ საკითხზე, რომელიც თავისი შინაარსით არანორმატიული ხასიათისაა, კომისიისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, აგრეთვე კომისიისა და კომისიის აპარატის შიდაორგანიზაციულ საკითხებზე, რომლებიც შეიცავს ქცევის ზოგად წესს პირთა განსაზღვრული წრისთვის.

5. კომისიის თავმჯდომარე გამოსცემს ბრძანებებს კომისიისა და კომისიის აპარატის შიდაორგანიზაციულ საკითხებზე, რომლებიც არ შეიცავს ქცევის ზოგად წესს.

6. კომისიის სამართლებრივი აქტები, გარდა კომისიის თავმჯდომარის ბრძანებისა მიიღება (გამოიცემა) კომისიის სხდომაზე.

7. კომისიის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას. დასაბუთება წინ უძღვის სამართლებრივი აქტის სარეზოლუციო ნაწილს. სამართლებრივ აქტში უნდა მიეთითოს ის საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ან მისი შესაბამისი ნორმა, რომლის საფუძველზედაც გამოიცა ეს სამართლებრივი აქტი. თუ კომისია სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა სამართლებრივი აქტის გამოცემისას. კომისია უფლებამოსილი არ არის თავისი სამართლებრივი აქტი დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იყო გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

8. გადაუდებელ შემთხვევაში კომისიის სამართლებრივი აქტი შეიძლება გამოიცეს ან გამოქვეყნდეს წერილობითი დასაბუთების გარეშეც. ასეთ შემთხვევაში წერილობითი დასაბუთება აუცილებლად უნდა გამოქვეყნდეს ან გადაეცეს ოფიციალური გაცნობისთვის სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან ან ოფიციალური გაცნობიდან ერთი კვირის ვადაში.

9. კომისიის გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს:

ა) გადაწყვეტილების გამომცემი ორგანოს დასახელებას და აქტის სათაურს;

ბ) კომისიის წევრების გვარებს, სახელებსა და ხელმოწერებს;

გ) გადაწყვეტილების გამოცემის დროსა და ადგილს;

დ) გადაწყვეტილების სარეგისტრაციო ნომერს;

ე) მითითებას იმ სასამართლოზე, რომელშიც შეიძლება გადაწყვეტილების გასაჩივრება, მის მისამართს და საჩივრის (ან სარჩელის) წარდგენის ვადას.

10. გადაწყვეტილებაზე გამოსახული უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო გერბი.

მუხლი 12. კომისიის სხდომის მომზადება *(24.03.2006 N4)*

1. კომისიის სხდომა საჯაროა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. კომისიის ღია სხდომაზე დასწრების უფლება აქვს ყველა დაინტერესებულ პირს, მათ შორის - მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებს.

2. კომისიის სხდომებზე საკითხების განხილვა ხდება დამტკიცებული სამუშაო გეგმის მიხედვით, აგრეთვე, მიმდინარე საკითხების გათვალისწინებით. სამუშაო გეგმაში შეტანილი საკითხებისა და მათი განხილვის ვადების შეცვლა შეიძლება მხოლოდ კომისიის გადაწყვეტილებით.

3. კომისია ვალდებულია დაინტერესებულ მხარეს აცნობოს კომისიის სხდომის ჩატარების შესახებ და მისცეს მას სხდომაზე დასწრების შესაძლებლობა. შეტყობინებაში უნდა მიეთითოს, რომ დაინტერესებული მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია განიხილოს საქმე და მიიღოს გადაწყვეტილება. ნებისმიერ პირს უფლება აქვს დაესწროს კომისიის სხდომას. თუ ყველა მსურველის სხდომის დარბაზში მოთავსება ფიზიკურად შეუძლებელია, სხდომაზე დასასწრებად დაიშვებიან ის პირები, რომლებმაც უფრო ადრე გამოთქვეს სხდომაზე დასწრების სურვილი.

4. კომისიის სხდომას იწვევს კომისიის თავმჯდომარე ან კომისიის სულ ცოტა ორი წევრი. სხდომის გამართვის დღეა, როგორც წესი, ყოველი სამუშაო კვირის პარასკევი, თუ სხდომის მოწვევის სხვა დრო არ არის განსაზღვრული კომისიის თავმჯდომარისა და წევრების დავალებით ან გადაუდებელი აუცილებლობით.

5. კომისიის სხდომას ხსნის და დახურულად აცხადებს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში, კომისიის ერთ-ერთი წევრი

მუხლი 13. ამოღებულია *(24.03.2006 N4)*

მუხლი 14. კომისიის სხდომისა და აპარატის თათბირის ოქმის გაფორმება

1. კომისიის სხდომებზე, კომისიისა და მისი აპარატის სამუშაო თათბირებზე საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტილებათა მიღების მიმდინარეობა ფიქსირდება ოქმში, რომელშიც უნდა მიეთითოს:

ა) კომისიის დასახელება;

ბ) სხდომის ან თათბირის ჩატარების დრო და ადგილი;

გ) სხდომის ან თათბირის თავმჯდომარისა და მდივნის, აგრეთვე სხდომის მონაწილეთა ვინაობა;

დ) სხდომაზე ან თათბირზე დამსწრეთა და მოწვეულთა ვინაობა;

ე) განხილვის საგანი;

ვ) სხდომაზე ჩატარებული კენჭისყრის შედეგები;

ზ) მიღებული გადაწყვეტილება ან დავალება.

2. ოქმი ფორმდება სხდომის მიმდინარეობის ჩანაწერის, სტენოგრამისა და სხდომისთვის მომზადებული სხვა მასალების (მოხსენების, დადგენილების ან გადაწყვეტილების პროექტი, განმარტებითი ბარათები, ცნობა, დღის წესრიგი, მოწვეულ პირთა სია და სხვ.) საფუძველზე.

3. სხდომისა და თათბირის ოქმს ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი.

4. კომისიის მიერ მიღებული ცალკეული გადაწყვეტილებები ეგზავნებათ ადრესატებს იმ სიის მიხედვით, რომელსაც ადგენს კომისიის აპარატის უფლებამოსილი თანამდებობის პირი.

მუხლი 15. ამოღებულია *(24.03.2006 N4)*

მუხლი 16. კომისიის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და მათ შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების წესი

1. კომისიის ყველა დადგენილება და გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს ინტერნეტში კომისიის გვერდზე.

2. კომისიის მიერ დახურულ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება საიდუმლოს მიკუთვნებული ინფორმაციის ამოღების შესაძლებლობის შემთხვევაში უნდა გამოქვეყნდეს. კომისიის დახურული სხდომის ოქმი საიდუმლოს მიკუთვნებული ინფორმაციის ამოღების შემდგომ ხელმისაწვდომი უნდა გახდეს.

3.კომისიის ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – დადგენილება ქვეყნდება "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

4. ლიცენზიის გაცემის, მოდიფიცირების, შეჩერების, გაუქმების, მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება "საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში" გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში.

მუხლი 17. ამოღებულია *(24.03.2006 N4)*

თავი 4. დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობა და კონფიდენციალობა

მუხლი 18. დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობა

1. კომისია ვალდებულია საქმეთა ნომენკლატურით განსაზღვრული დოკუმენტაცია შეინახოს საკუთარ არქივში, კანონმდებლობით დადგენილი ვადით. ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს დაუბრკოლებლად მიიღოს კომისიაში არსებული დოკუმენტაცია.

2. კომისიის ყველა გადაწყვეტილება, ჩანაწერი და სხვა დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია საჯარო განხილვისთვის, გარდა სახელმწიფო, პროფესიული, პირადი და კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაციისა.

3. კომისიის არქივში ჩაბარებამდე დოკუმენტების დაცვის, აღრიცხვისა და შენახვის უზრუნველყოფა ევალებათ კომისიის სტუქტურულ დანაყოფებს.

4. საარქივო საქმეზე გამოყოფილ უფლებამოსილ პირს, რომელიც ამავე დროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე არის პასუხისმგებელი, შესაბამისი ბრძანებით ნიშნავს კომისიის თავმჯდომარე.

5. კომისიის არქივის დოკუმენტებს მიეკუთვნება:

ა) საქმისწარმოებით დამთავრებული დოკუმენტი, რომელიც შეიქმნა კომისიის სტრუქტურული დანაყოფის საქმიანობის პროცესში.

ბ) საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს მიერ კომისიისთვის გადაცემული ყოფილი საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს მიერ გაცემული ლიცენზიები და მათთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.

გ) ბეჭდვითი გამოცემა, რომელიც კომისიის მიერ ჩატარებული საქმიანობის შესახებ ინფორმაციას შეიცავს.

დ) კომისიის აპარატის საქმისწარმოების შინაგანაწესით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები და მასალები.

6. კომისიის თავმჯდომარის შესაბამისი ბრძანებით საარქივო საქმეზე გამოყოფილი უფლებამოსილი პირი ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

ა) ღებულობს, აღრიცხავს და ინახავს საქმისწარმოებით დამთავრებულ დოკუმენტს, რომელიც წესრიგშია მოყვანილი კომისიის აპარატის საქმისწარმოების შინაგანაწესის შესაბამისად.

ბ) კომისიის აპარატის უფროსთან ერთად აკონტროლებს სტრუქტურულ დანაყოფებში დოკუმენტების დაცვის, საქმეთა გაფორმების სისწორეს, მონაწილეობას ღებულობს საქმეთა ნომენკლატურის შედგენაში და ამოწმებს საქმეთა ფორმირების პროცესს.

გ) აწარმოებს არქივში შენახული დოკუმენტების შემფასებელ ექსპერტიზას;

დ) აღრიცხავს და ადასტურებს დოკუმენტს;

ე) არქივში დაცული დოკუმენტების საფუძველზე ამზადებს სხვადასხვა სახის საარქივო ცნობებს, ასლებსა და ამონაწერებს და არსებული წესის თანახმად გადასცემს მათ დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს.

ვ) პასუხს აგებს არქივში დაცული დოკუმენტაციის შენახვაზე.

7. ზემოაღნიშნული ფუნქციების შესრულების უზრუნველსაყოფად საარქივო საქმეზე გამოყოფილ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს კომისიის აპარატის სტრუქტურული დანაყოფების ხელმძღვანელს დაიცვას დოკუმენტებთან მუშაობის არსებული წესები.

ბ) მოიწვიოს და დაიხმაროს აპარატის თანამშრომლები.

გ) ითანამშრომლოს სახელმწიფო არქივთან.

მუხლი 19. ინფორმაციის კონფიდენციალობა

1. სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის დაცვის წესი განისაზღვრება სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით.

2. კომისიისთვის ინფორმაციის წარდგენისას პირი ვალდებულია მიუთითოს, რომ წარდგენილი ინფორმაცია მისი პირადი, კომერციული ან პროფესიული საიდუმლოებაა.

3. პერსონალური მონაცემები პირად საიდუმლოებად მიიჩნევა იმ პირის მოთხოვნით, რომლის შესახებაც არსებობს ეს ინფორმაცია.

4. კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენს ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას.

5. თუ პირი უთითებს, რომ კომისიისთვის წარდგენილი ინფორმაცია მისი კომერციული საიდუმლოებაა, კომისია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად 10 სამუშაო დღის ვადაში იღებს გადაწყბეტილებას წარდგენილი ინფორმაციის საიდუმლოებად მიჩნევის თაობაზე. თუ კომისია არ ცნობს წარდგენილ ინფორმაციას კომერციულ საიდუმლოებად, იგი იღებს გადაწყვეტილებას მისი ღიაობის თაობაზე, რასაც დაუყოვნებლივ აცნობებს შესაბამის პირს. გადაწყვეტილების მიღებიდან 15 სამუშაო დღის შემდეგ ინფორმაცია ხდება ღია, თუ პირმა, რომლის საკუთრებასაც წარმოადგენს ეს ინფორმაცია, ამ ვადის გასვლამდე სასამართლოში არ გაასაჩივრა ინფორმაციის ღიაობის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, რაც დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს კომისიას.

6. პროფესიულ საიდუმლოებას მიეკუთვნება ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს სხვის პირად ან კომერციულ საიდუმლოებას და პირისთვის ცნობილი გახდა პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. პროფესიული საიდუმლოება არ შეიძლება იყოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ წარმოადგენს სხვა პირის პირად ან კომერციულ საიდუმლოებას.

7. პროფესიული, პირადი და კომერციული საიდუმლოების შემცველი დოკუმენტაცია აღირიცხება ცალკე ჟურნალში და ინახება საამისოდ გამოყოფილ საცავში.

8. პროფესიული, პირადი და კომერციული საიდუმლოების შემცველი დოკუმენტაციის საქმისწარმოებას ახორციელებს ის პირი, რომელსაც კომისიის თავმჯდომარის ბრძანებით დავალებული აქვს სახელმწიფო საიდუმლო საქმისწარმოება.

9. სახელმწიფო, პროფესიულ, პირად და კომერციულ საიდუმლოებაზე დაშვება აქვთ კომისიის წევრებს, აპარატის უფროსს და კომისიის თავმჯდომარის ბრძანებით უფლებამოსილ აპარატის სხვა თანამშრომელს.

10. საიდუმლო დოკუმენტზე დაშვებული პირი მოვალეა დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებები.

თავი 5. რადიოსიხშირეთა და სახმობების მინიჭება

(24.03.2006 N4)

მუხლი 20. ამოღებულია *(24.03.2006 N4)*

მუხლი 21. ამოღებულია *(24.03.2006 N4)*

მუხლი 22. ამოღებულია *(24.03.2006 N4)*

მუხლი 23. ამოღებულია *(24.03.2006 N4)*

მუხლი 24. ამოღებულია *(24.03.2006 N4)*

მუხლი 25. ამოღებულია *(24.03.2006 N4)*

მუხლი 26. ამოღებულია *(24.03.2006 N4)*

მუხლი 27. ამოღებულია *(24.03.2006 N4)*

მუხლი 28. რადიოდანადგარები და სატელეკომუნიკაციო ტერმინალური დანადგარები *(14.07.2006 N7)*

რადიოდანადგარებისა და სატელეკომუნიკაციო ტერმინალური დანადგარების სერტიფიცირების, სამომხმარებლო ბაზარზე განთავსებისა და მომსახურებაში დაშვების საკითხების რეგულირება კომისიის მიერ ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2004 წლის 24 დეკემბრის N2 დადგენილებით "რადიოდანადგარებისა და სატელეკომუნიკაციო ტერმინალირი დანადგარების სერტიფიცირების რეგლამენტის დამტკიცების შესახებ.

მუხლი 29. რადიოსიხშირეებისა და სახმობების მინიჭება *(14.07.2006 N7)*

1. ულიცენზიოდ ან მინიჭების გარეშე რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობა აკრძალულია და ისჯება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად.

2. კომისია საზოგადოებრივ მაუწყებელს, აგრეთვე საეთერო მაუწყებლობის განმახორციელებელ კერძო ან/და სათემო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელს

ანიჭებს რადიოსიხშირეებს დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით გამოყენებისათვის, სალიცენზიო პირობების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით. ლიცენზიის მოქმედების შეჩერებისა და განახლების დროს შესაბამისად უნდა შეჩერდეს და განახლდეს კომისიის მიერ ლიცენზიის მოქმედების ვადით მინიჭებული რადიოსიხშირეების გამოყენებაც.

3. არაავტორიზებად პირებს, რომელთა საქმიანობა არ არის დაკავშირებული საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფასთან, ან/და ამ ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების მიწოდებასთან, მაგრამ საქმიანობისას საჭიროებენ რადიოსიხშირეების დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით გამოყენებას, კომისია ანიჭებს რადიოსიხშირეებს დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით დროებით, 1 წლის ვადით გამოყენებისათვის.

4. საჰაერო მოძრავი და საჰაერო რადიონავიგაციის სამსახურისათვის რადიოსიხშირული ზოლები გამოყოფილია ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის რადიორეგლამენტისა და სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების შესაბამისად.

5. რადიოსამოყვარულო სამსახურისათვის რადიოსიხშირული ზოლები გამოყოფილია ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის რადიორეგლამენტის შესაბამისად. კომისია ახორციელებს რადიომოყვარულისთვის რადიოსახმობის მინიჭებას ამ რადიოსიხშირულ ზოლებში რადიოსამოყვარულო კავშირის განსახორციელებლად. სამოყვარულო რადიოკავშირის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ კომისიის გადაწყვეტილებაში უნდა აღინიშნოს სახმობი, რადიოკავშირის საერთაშორისო რეგლამენტით გამოყოფილი სიხშირის ზოლები და გასხივების სახეები, აგრეთვე რადიომოყვარულის კვალიფიკაცია;

6. საზღვაო მოძრავი და საზღვაო რადიონავიგაციის სამსახურისათვის რადიოსიხშირული ზოლები გამოყოფილია ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის რადიორეგლამენტის შესაბამისად. კომისია ახორციელებს საზღვაო ხომალდებისთვის რადიოსახმობისა და ამოცნობის ნიშნების მინიჭებას. საზღვაო ხომალდებისთვის რადიოკავშირის განსახორციელების უფლების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იყოს სახმობი და ამოცნობის ნიშნები.

7. რადიოსიხშირის მინიჭება ხდება სიხშირის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე, რომელშიც უნდა აღინიშნოს:

ა) სიხშირე, რომლის მიღებასაც მოითხოვს სიხშირის მაძიებელი;

ბ) სიხშირის მინიჭების შემთხვევაში განსახორციელებელი საქმიანობის სრული აღწერილობა, ტექნიკური პარამეტრების მითითებით;

გ) სამოქმედო ზონა;

დ) მონაცემები განსახორციელებელი საქმიანობის შესახებ;

ე) გადამცემის ტიპი და ძირითადი ტექნიკური პარამეტრები;

ვ) სავარაუდო მუშა სიხშირე, სიხშირული ზოლი;

ზ) გამოსასხივებელი ეფექტური სიმძლავრე;

თ) ანტენის ტიპი, გასხივების დიაგრამა;

ი) ანტენის განთავსების ადგილის გეოგრაფიული კოორდინატები;

კ) ანტენის განთავსების სიმაღლე.

8. სიხშირის მაძიებელმა ფიზიკურმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს პირადობის მოწმობის ასლი, ინდივიდუალურმა მეწარმემ ან იურიდიულმა პირმა - სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ხოლო დაწესებულებამ ან ორგანიზაციამ დაფუძნების აქტი, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. განცხადებას თან უნდა დაერთოს საქართველოს საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტაცია.

9. თუ სიხშირის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი განცხადება არ აკმაყოფილებს ამ მუხლის მოთხოვნებს, გამოიყენება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლით დადგენილი ნორმები.

10. სიხშირის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველია:

ა) სიხშირის მაძიებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შეუსაბამობა;

ბ) სიხშირული თავისუფალი რესურსის არარსებობა;

გ) გამოსაყენებელი ტექნიკური საშუალებების მოქმედ სტანდარტებთან შეუსაბამობა.

11. სიხშირის მინიჭებაზე უარი ფორმდება კომისიის გადაწყვეტილებით;

12. სიხშირის მინიჭების გაუქმების საფუძველია:

ა) სიხშირის მფლობელის განცხადება;

ბ) სიხშირის მფლობელის გარდაცვალება (ლიკვიდაცია);

გ) სიხშირის მფლობელის მიერ სიხშირის მინიჭების შესახებ კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობა;

დ) სიხშირის მფლობელის მიერ ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის დარღვევა.

13. რადიოსიხშირის მინიჭება მოქმედების ვადის გასვლის შემთხვევაში ავტომატურად უქმდება.

მუხლი 30. ამოღებულია *(24.03.2006 N4)*

მუხლი 31. ამოღებულია *(24.03.2006 N4)*

მუხლი 32. უწყებრივი რეესტრი *(24.03.2006 N4)*

1. კომისია აწარმოებს შემდეგ უწყებრივ რეესტრებს:

ა) რადიოსიხშირის მინიჭების უწყებრივ რეესტრს;

ბ) ლიცენზიების უწყებრივ რეესტრს;

გ) ავტორიზებულ პირტა უწყებრივ რეესტრს;

დ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უწყებრივ რეესტრებს.

2. რადიოსიხშირის მინიჭების უწყებრივ რეესტრში კომისია ატარებს მინიჭებულ რადიოსიხშირეებსა და იმ პირებს, რომლებსაც მიენიჭათ

რადიოსიხშირეები ერთი წლის ვადით; რეგისტრაციისთვის კომისიას უნდა წარედგინოს განცხადება, რომელშიც აღინიშნება:

ა) პირის სახელი გვარი ან სახელწოდება, მისამართი, დაფუძნების აქტი, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი;

ბ) განსახორციელებელი საქმიანობა;

გ) განსახორციელებელი საქმიანობის ვადა და სამოქმედო ზონა;

დ) მინიჭებული რადიოსიხშირეების გამოყენების ტექნიკური პარამეტრები.

3. ფიზიკურმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს პირადობის მოწმობის ასლი, ინდივიდუალურმა მეწარმემ ან იურიდიულმა პირმა - სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ხოლო დაწესებულებამ ან ორგანიზაციამ დაფუძნების აქტი, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი."

4. კომისიის მიერ წარმოებულ უწყებრივ რეესტრებში არ შეიტანება ინფორმაცია, რომელიც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად მიეკუთვნება სახელმწიფო, პროფესიულ, კომერციულ ან პირად საიდუმლო ინფორმაციას.

5. ნებისმიერ პირს უფლება აქვს გაეცნოს უწყებრივი რეესტრის მონაცემებს და დადგენილი წესით მიიღოს მასში შეტანილი ინფორმაცია."

მუხლი 33. რადიოელექტრონული საშუალებებისა და მაღალსიხშირული მოწყობილობების გამოყენების შეზღუდვები *(14.07.2006 N7)*

რადიოელექტრონული საშუალებებისა და მაღალსიხშირული მოწყობილობების მფლობელს ეკრძალება:

ა) ეთერში მუშაობა სათანადო ლიცენზიის გარეშე;

ბ)რადიოკავშირის დასაწყისსა და დასასრულს სახმობი სიგნალების გადაცემის გარეშე მუშაობა;

გ) თვითნებური არარეგისტრირებული სახმობების გამოყენება;

დ) სიხშირის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებაში ან ლიცენზიაში აღნიშნული სიხშირის (სიხშირეთა ზოლების) შეცვლა, რადიოსადგურის გადამცემის სიმძლავრის და მიწის ზედაპირიდან ანტენის განთავსების სიმაღლის გაზრდა, ანტენის გასხივების დიაგრამის ცვლილება ან სხვა ტიპის გამოსხივებით მუშაობა.

მუხლი 34. ამოღებულია *(24.03.2006 N4)*

თავი 6. კომისიის მიერ მონიტორინგისა და შემოწმების განხორციელების, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესები

(24.03.2006 N4)

მუხლი 35. ზოგადი დებულებანი *(24.03.2006 N4)*

1. წინამდებარე თავი ითვალისწინებს კომისიის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული კონტროლის ფუნქციის შესრულების, აგრეთვე

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის პროცესში განსახორციელებელ შემდეგ პროცედურებს:

ა) ავტორიზებულ და ლიცენზირებულ პირთა მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის დაცვაზე მონიტორინგი;

ბ) სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელთა მიერ მაუწყებლობის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის დაცვაზე მონიტორინგი;

გ) ელექტრონული საკომუნიკაციო უწყებრივი და სპეციალური ქსელებით საქმიანობის განმახორციელებელი პირების მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულებაზე მონიტორინგი. *(14.07.2006 N7)*

დ) ლიცენზიანტების მიერ სალიცენზიო პირობების შესრულების შემოწმება;

ე) ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენის გამოვლენა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის მომზადება, აგრეთვე კომისიის სხდომაზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა და კომისიის მიერ ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის ა), ბ), გ) და დ) პუნქტებით განსაზრვრულ საქმიანობას კომისია ახორციელებს "მაუწყებლობის შესახებ", "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ", "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონებისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე, ხოლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს განიხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ კოდექსის საფუძველზე, თუ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი არ არის სხვა წესი.

3. საჭიროების შემთხვევაში, კომისიას შეუძლია გამოიყენოს ის ადმინისტრაციული უფლებამოსილება, რომელიც მას მინიჭებული აქვს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით, მაგრამ შეიძლება არ იყოს გათვალისწინებული ამ წესებით.

მუხლი 36. მონიტორინგი და კონტროლი. *(24.03.2006 N4)*

1. ავტორიზებულ და ლიცენზირებულ პირთა მიერ ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს კომისია ახორციელებს მუდმივად და სისტემატურად.

2. ლიცენზიის მფლობელთა მიერ სალიცენზიო პირობების შესრულების შემოწმებას კომისია ახორციელებს სალიცენზიო პირობების შერჩევით შემოწმებით ან/და ლიცენზიის მფლობელის მიერ რეგულარული ანგარიშგებით.

3. კომისია უფლებამოსილია ჩაატაროს შემოწმება კომისიაში შესული საჩივრის, ექს-პარტე შეტყობინების, საგაზეთო ან სხვაგვარი ინფორმაციის საფუძველზე.

4. კომისიას ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულების მონიტორინგისა და სალიცენზიო პირობების შესრულების შემოწმების დროს უფლება არა აქვს შეამოწმოს ან მოითხოვოს ისეთი ფაქტობრივი გარემოებების წარდგენა, რომლებიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული ავტორიზებული პირის ან/და ლიცენზიის მფლობელის მიერ ამ პუნქტით გათვალისწინებული კანონმდებლობის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების, აგრეთვე სალიცენზიო პირობების შესრულებასთან.

5. მონიტორინგის ჩატარების მეთოდებსა და ხერხებს მონიტორინგის განმახორციელებელი უფლებამოსილი პირი განსაზღვრავს დამოუკიდებლად. მონიტორინგის განხორციელება არ არის შეზღუდული ავტორიზებული პირის ან/და ლიცენზიის მფლობელის განთავსების ადგილმდებარეობით;

6. შემოწმების ჩატარებამდე შემოწმებაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია შესამოწმებელი პირის უფლებამოსილ წარმომადგენელს წარუდგინოს პირადობის მოწმობა და თავისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. იგი უფლებამოსილია შეამოწმოს ავტორიზებული პირის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტები მათი განთავსების ადგილზე, გადაიღოს დოკუმენტების ასლები, სპეციფიკური საშუალებებით შეამოწმოს ტექნიკური მოწყობილობები, მოსთხოვოს თანამდებობის პირებსა და სხვა მუშაკებს ინფორმაცია, ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებები შესამოწმებელ საკითხთან დაკავშირებით.

7. მონიტორინგსა და შემოწმებაზე უფლებამოსილი პირი ამ წესებით დადგენილი ფორმით ადგენს შემოწმების აქტს, რომელიც შეიტანება სპეციალურად ამისთვის წარმოებულ რეესტრში.

8. შემოწმების აქტში უნდა მიეთითოს:

ა) შემოწმების (მონიტორინგის) ჩატარების დღე, დრო და ადგილი;

ბ) შემოწმების (მონიტორინგის) ჩატარების საფუძველი;

გ) შესამოწმებელი პირის მხრიდან შემოწმებაზე დამსწრე პირის ვინაობა;

დ) შემოწმებული დოკუმენტების ჩამონათვალი, თუ ისინი ადგილზე შემოწმდა (ასლის გადაღების შემთხვევაში ასლი უნდა დაერთოს აქტს);

ე) შემოწმებული მოწყობილობების ჩამონათვალი და მათი ტექნიკური პარამეტრები;

ვ) მიღებული ზეპირი ახსნა-განმარტებების მიმოხილვა (მათი წერილობით მიწოდების შემთხვევაში წერილობითი მასალა უნდა დაერთოს აქტს);

ზ) შემოწმებაზე უფლებამოსილი პირის კომენტარები (მათი არსებობის შემთხვევაში); შესამოწმებელი პირის (მისი წარმომადგენლის) სხვა ახსნა-განმარტებანი (მათი არსებობის შემთხვევაში);

თ) შემოწმებაზე ან/და მონიტორინგის განხორციელებაზე უფლებამოსილი პირისა და შესამოწმებელი პირის (მისი წარმომადგენლის), ხოლო მის მიერ ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში, აგრეთვე თუ არ დაუშვა შემმოწმებელი ან რაიმე სხვა ფორმით ხელი შეუშალა შემოწმების აქტის შედგენას – სულ ცოტა 2 დამსწრე მოწმის ხელმოწერა;

9. თუ შემოწმების აქტის გარეშეც საკმარისი მტკიცებულებები არსებობს დარღვევის შესახებ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე იწყება ადმინისტრაციული წარმოება დამრღვევი პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით, რაც ეცნობება დამრღვევს.

10. თუ შემოწმებაზე ან/და მონიტორინგის განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი შემოწმების (მონიტორინგის) შედეგად დაადგენს, რომ ელექტრონული კომუნიკაციებისა და “მაუწყებლობის” სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დამრღვევი პირის ქმედება შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით განსაზღვრული დანაშაულის ნიშნებს, იგი შემოწმების მასალებს დაუყოვნებლივ წარუდგენს კომისიას შესაბამისი რეაგირებისთვის.

11. თუ მონიტორინგის ან/და შემოწმების შედეგად გამოვლინდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, კომისიის მიერ ადმინისტრაციულ სამართალდაღრვევათა ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირი (პირები) ადგენენ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს.

12. იმ შემთხვევაში, თუ შემოწმების აქტის გარეშე არსებობს საკმარისი მტკიცებულებები ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ, კომისიის მიერ უფლებამოსილი პირი ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს. *(14.07.2006 N7)*

13. გაფრთხილებისა და დაჯარიმების შესახებ კომისიის გადაწყვეტილებები მიიღება მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით და საჩივრდება სასარჩელო წარმოების წესით.

14. გაფრთხილებისა და დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად მარტივი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე კომისია ღებულობს გადაწყვეტილებას, რომელიც დაინტერესებული მხარისათვის აუცილებლად უნდა შეიცავდეს მითითებას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლებით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობის შესახებ.

15. კომისია ვალდებულია წარმოების დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში აცნობოს დაინტერესებულ მხარეს მარტივი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გადაწყვეტილების დაზღვეული

საფოსტო გზავნილით გაგზავნის გზით, რათა უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

16. გაფრთხილებისა და დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე თანხმლები წერილით ეცნობება პირს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 7 დღის ვადაში.

17. ჯარიმის გადახდა უნდა მოხდეს ჯარიმის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების დამრღვევისათვის ჩაბარებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. ჯარიმა ჩაირიცხება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში. დამრღვევის მიერ ჯარიმის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულებას უზრუნველყოფს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტი კომისიის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე.

18. თუ არ არსებობს გაფრთხილების ან ჯარიმის საფუძველი, ადმინისტრაციული წარმოება წყდება.

19. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ კომისიის გადაწყვეტილება საჩივრდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების წესების შესაბამისად.

მუხლი 37. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი უნდა შედგეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 141, 142, 144^1-144^9 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეებზე კომისიის მიერ დადგენილი ფორმით და მასში უნდა აღინიშნოს: *(24.03.2006 N4)*

ა) ოქმის შედგენის დრო და ადგილი;

ბ) მონაცემები სამართალდამრღვევი პირის შესახებ;

გ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი;

დ) ნორმატიული აქტი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამ სამართალდარღვევისთვის;

ე) მოწმეთა და დაზარალებულთა სახელები, გვარები და მისამართები (მათი არსებობის შემთხვევაში);

ვ) ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევის ახსნა-განმარტება;

ზ) ნებისმიერი ცნობა ან მითითება ისეთ დოკუმენტზე, რომელსაც ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირი საქმის გადასაწყვეტად საჭიროდ მიიჩნევს;

თ) ოქმის შემდგენლის სახელი, გვარი და თანამდებობა;

ი) სამართალდამრღვევის უფლებებისა და მოვალეობების ნაწილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ:

"პირს, რომელსაც წარედგინა წინამდებარე ოქმი, უფლება აქვს: გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული

დახმარებით; გამოვიდეს დედაენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება იმ პირის თანდასწრებით, რომელიც მიცემულია ადმინისტრაციულ პასუხისგებაში. ამ პირის დაუსწრებლად საქმე შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როცა არის ცნობა მისთვის საქმის განხილვის ადგილისა და დროის დროული შეტყობინების შესახებ და მისგან არ შემოსულა შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების თაობაზე."

კ) ოქმის შემდგენლისა და სამართალდამრღვევის (ან მისი წარმომადგენლის) ხელმოწერები, ხოლო მოწმეთა და დაზარალებულთა არსებობის შემთხვევაში – მათი ხელმოწერები. იმ შემთხვევაში, თუ სამართალდამრღვევი უარს იტყვის ოქმის ხელმოწერაზე, შემდგენელმა ოქმში სათანადო ჩანაწერი უნდა გააკეთოს. სამართალდარღვევის ჩამდენს უფლება აქვს წარმოადგინოს ოქმისთვის დასართავი ახსნა-განმარტება და შენიშვნები ოქმის შინაარსის გამო, აგრეთვე ჩამოაყალიბოს მის ხელმოწერაზე უარის თქმის მოტივები.

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი დგება ორ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა სამართალდამრღვევს, ხოლო მეორე ეგზემპლარი შემდგენელი უფლებამოსილი პირის მიერ დაუყოვნებლივ წარედგინება კომისიის წევრებს.

მუხლი 38. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განსახილვა

1. კომისია, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გადაცემის შემდეგ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განსახილველად მომზადებისას წყვეტს შემდეგ საკითხებს:

ა) განეკუთვნება თუ არა კომისიის კომპეტენციას აღნიშნული საქმის განხილვა;

ბ) სწორად არის თუ არა შედგენილი ოქმი და საქმის სხვა მასალები;

გ) ეცნობათ თუ არა დაინტერესებულ მხარეებს საქმის განხილვის დრო და ადგილი;

დ) გამოთხოვილია თუ არა საჭირო დამატებითი მასალები;

ე) უნდა დაკმაყოფილდეს თუ არა დაინტერესებული მხარის შუამდგომლობა.

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება კომისიის მიერ. კომისიის მიერ განხილვა უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და თანდართული მასალების მიღებიდან საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 142-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით - 3 დღის ვადაში, 141-ე, 144^1-144^9 მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე - 7 დღის ვადაში. კომისიის აპარატის უფლებამოსილმა პირმა დაინტერესებულ მხარეებს (ოქმში დამრღვევად, დაზარალებულად და მოწმედ დასახელებულ პირებს) უნდა გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება, რომელშიც მითითებული უნდა იყოს საქმის განხილვის დრო და ადგილი.

3. საქმის განხილვა იწყება კომისიის შემადგენლობის გამოცხადებით. სხდომის თავმჯდომარე აცხადებს, რომელი საქმე განიხილება, ვინ არის მიცემული ადმინისტრაციულ პასუხისგებაში, საქმის განხილვის მონაწილე პირებს განუმარტავს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, საჯაროდ კითხულობს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს. კომისია მოუსმენს საქმის განხილვის მონაწილე პირებს, გამოიკვლევს მტკიცებულებებს და მიიღებს სათანადო გადაწყვეტილებას შუამდგომლობის საკითხთან (მათი არსებობის შემთხვევაში) დაკავშირებით.

4. კომისიის გადაწყვეტილებით საქმე განიხილება მასში მონაწილე პირის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, თუ შეტყობინებით პირი სხდომაზე მოწვეულ იქნა, ის არ გამოცხადდა და კომისიაში არ არის შემოსული შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების თაობაზე. გამოუცხადებლობის ფაქტი, კომისიის გადაწყვეტილება და მისი მიზეზები უნდა აღინიშნოს სხდომის ოქმში.

5. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე უნდა წარმოადგინოს ოქმის შემდგენელმა უფლებამოსილმა პირმა ან კომისიის წევრმა.

6. კომისია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის განხილვისას მოვალეა დაადგინოს: ჩადენილი იყო თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ბრალეულია თუ არა პირი მის ჩადენაში, ექვემდებარება თუ არა იგი ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, არის თუ არა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, მიყენებულია თუ არა ქონებრივი ზარალი. აგრეთვე, გამოარკვიოს სხვა გარემოებანი, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ საქმის სწორად გადაწყვეტისთვის.

მუხლი 39. კომისიისთვის სამართლებრივი დახმარება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 თავის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის თხოვნით მიმართოს სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს.

მუხლი 40. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის კომისიის სხდომის ოქმი

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის კომისიის სხდომის ოქმში უნდა აღინიშნოს შემდეგი:

ა) სხდომის თარიღი და ადგილი;

ბ) კომისიის სრული დასახელება და შემადგენლობა;

გ) განსახილველი საქმის შინაარსი;

დ) ინფორმაცია საქმეში მონაწილე პირთა გამოცხადების შესახებ;

ე) საქმის განხილვის მონაწილე პირთა ახსნა-განმარტებები, შუამდგომლობანი (მათი არსებობის შემთხვევაში) და მათი განხილვის შედეგები;

ვ) საქმის განხილვის დროს გამოკვლეული დოკუმენტები და ნივთიერი მტკიცებულებანი;

ზ) ინფორმაცია კომისიის მიერ მიღებული ადმინისტრაციული სახდელის დადების გადაწყვეტილების საჯაროდ წაკითხვისა და გასაჩივრების წესისა და ვადების განმარტების შესახებ.

2. საქმის განხილვის მონაწილე პირთა ახსნა-განმარტებები შეიძლება დაფიქსირებულ იქნეს ვიდეო ან აუდიო, ან სხვაგვარი ჩამწერი მოწყობილობის მეშვეობით, მაგრამ სხდომის ოქმში მაინც კეთდება ჩანაწერი ახსნა-განმარტებათა შინაარსის შესახებ.

3. კომისიის სხდომის ოქმს ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი.

მუხლი 41. კომისიის გადაწყვეტილება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმესთან დაკავშირებით

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის განხილვის შემდეგ კომისია იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ;

ბ) საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

2. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 232-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში მიიღება გადაწყვეტილება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

3. ადმინისტრაციული სახდელი შეიძლება დაედოს არა უგვიანეს ორი თვისა სამართალდაღვევის ჩადენის დღიდან, ხოლო როცა სამართალდარღვევა დენადია - არა უგვიანეს ორი თვისა მისი გამოვლენის დღიდან.

4. კომისია იღებს ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ გადაწყვეტილებას, რომელშიც უნდა აღინიშნოს:

ა) გადაწყვეტილების რეკვიზიტები (კომისიის დასახელება, გადაწყვეტილების სათაური, გადაწყვეტილების მიღების დრო და ადგილი, კომისიის მიერ მინიჭებული სარეგისტრაციო ნომერი, კომისიის თავმჯდომარის სახელი, გვარი და ხელმოწერა, საქართველოს სახელმწიფო გერბი);

ბ) ცნობები იმ პირის შესახებ, რომლის მიმართაც განიხილებოდა საქმე;

გ) საქმის განხილვისას გამორკვეული გარემოებები;

დ) ნორმატიული აქტი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მოცემული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის;

ე) ორგანო, სადაც შეიძლება გადაწყვეტილების გასაჩივრება, მისი მისამართი და საჩივრის წარდგენის ვადა;

ვ) საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება და ანგარიში, რომელზედაც დამრღვევმა უნდა ჩარიცხოს საჯარიმო თანხა.

5. ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ გადაწყვეტილებას ხელს აწერს კომისიის სხდომის თავმჯდომარე.

6. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება გამოცხადდება დაუყოვნებლივ, საქმის განხილვის დამთავრებისთანავე.

7. პირის მიერ ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის დარღვევისას, რისთავისაც სანქცია გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, ადმინისტარციული სახდელის დადებასთან ერთად ან მის გარეშე კომისია უფლებამოსილია თავისი გადაწყვეტილებით მოსთხოვოს სამართალდამრღვევ პირს და მის თანამონაწილეს (არსებობის შემთხვევაში) მიიღონ საჭირო ზომები თავიანთი საქმიანობის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად კომისიის მიერ დადგენილ ვადაში. *(24.03.2006 N4)*

მუხლი 42. შეტყობინების და ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ გადაწყვეტილების ჩაბარება

1. ამ თავით გათვალისწინებული ყოველგვარი შეტყობინება და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება კომისიამ თავისი თანამშრომლის ან სპეციალურად საამისოდ დაქირავებული პირის მეშვეობით პირადად უნდა გადასცეს შესაბამის პირს, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში მის საცხოვრებელ ან სამუშაო მისამართზე სხვა სრულწლოვან პირს, რაზეც უნდა გაფორმდეს გადაცემის აქტი (დანართი 4) ან გაუგზავნოს რეგისტირებული საფოსტო გზავნილით.

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება კომისიამ უნდა გადასცეს პირს, რომლის მიმართაც არის გამოტანილი, აგრეთვე დაზარალებულს მისი თხოვნით, გადაწყვეტილების მიღებიდან სამი დღის ვადაში.

3. გადაცემის აქტში უნდა აღინიშნოს შემდეგი მონაცემები:

ა) გადაცემის დრო და ადგილი;

ბ) გადაცემული დოკუმენტის დასახელება;

გ) მიმღები პირის სახელი და გვარი;

დ) ნებისმიერი სხვა ჩანაწერი, თუ ამას მოითხოვს მიმღები პირი ან საჭიროდ ჩათვლის გადამცემი პირი;

ე) გადამცემი პირის სახელი, გვარი და თანამდებობა (უფლებამოსილება);

ვ) გადამცემისა და მიმღების ხელმოწერები.

მუხლი 43. დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილების აღსრულება

1. სამართალდამრღვევმა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმა უნდა გადაიხადოს კომისიის მიერ ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ გადაწყვეტილების გადაცემიდან არა უგვიანეს 15 დღის ვადაში, ხოლო გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში - საჩივრის დაუკმაყოფილებლად დატოვების შესახებ შეტყობინების მიღებიდან არა უგვიანეს 15 დღის ვადაში. ამასთან, გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოტანიდან 10 დღის ვადაში და ამ ვადაში საჩივრის შეტანა მის განხილვამდე შეაჩერებს გადაწყვეტილების აღსრულებას. *(24.03.2006 N4)*

2. ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში კომისია თავის გადაწყვეტილებას ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ აღსასრულებლად გადაუგზავნის შესაბამის სააღსრულებო ბიუროს დამრღვევის საცხოვრებელი ან იურიდიული მისამართის მიხედვით.

თავი 7. სადავო საკითხების განხილვა

(24.03.2006 N4)

მუხლი 44. დავის განხილვის წესები *(14.07.2006 N7)*

1. კომისია ლიცენზიის მფლობელებს, აგრეთვე ავტორიზებულ პირებს შორის დავებს განიხილავს "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 თავით დადგენილი წესების შესაბამისად;

2. კომისია სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელებსა და მომხმარებლებს შორის დავებს განიხილავს ამ წესების შესაბამისად და "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლით დადგენილი თავისებურებების გათვალისწინებით;

3. კომისია ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელსა და ბოლო მომხმარებელს შორის დავებს განიხილავს "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 თავით დადგენილი წესების შესაბამისად;

4. კომისია სადავო საკითხებს წყვეტს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში. განცხადება დავის განხილვის შესახებ მიიღება, თუ მისი მოთხოვნა არ სცილდება კომისიის უფლებამოსილებების ფარგლებს.

5. სადაო საკითხის განხილვისას ტარდება მოსამზადებელი სხდომა;

მუხლი 45. მოსამზადებელი სხდომა

1. განცხადების რეგისტრაციიდან 10 სამუშაო დღის ვადაში კომისია ნიშნავს მოსამზადებელ სხდომას.

2. კომისია მხარეებს ატყობინებს მოსამზადებელი სხდომის დანიშვნის შესახებ.

3. მხარეებმა სადაო საკითხთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები და მტკიცებულებები კომისიას უნდა წარუდგინონ მოსამზადებელ სხდომამდე.

4. მხარე უფლებამოსილია მოსამზადებელ სხდომამდე კომისიას წარუდგინოს შეგებებული განცხადება (საპასუხო მოთხოვნა) ძირითად განცხადებასთან ერთად განსახილველად. შეგებებული განცხადების წარდგენა შესაძლებელია ამ წესების 44-ე მუხლით დადგენილი წესის დაცვით.

5. განმცხადებელი უფლებამოსილია გაეცნოს შეგებებულ განცხადებას.

6. მოსამზადებელ სხდომაზე კომისია იღებს გადაწყვეტილებას დავის განხილვის დღის დანიშვნის შესახებ.

მუხლი 46. ამოღებულია *(24.03.2006 N4) (14.07.2006 N7)*

მუხლი 47. ამოღებულია *(24.03.2006 N4) (14.07.2006 N7)*

მუხლი 48. ამოღებულია *(24.03.2006 N4) (14.07.2006 N7)*
მუხლი 49. ამოღებულია *(24.03.2006 N4) (14.07.2006 N7)*
მუხლი 50. ამოღებულია *(24.03.2006 N4) (14.07.2006 N7)*

მუხლი 51. მომხმარებელთა საჩივრების მიღების, განხილვის და გადაწყვეტის პროცედურები *(14.07.2006 N7)*

1. ყველა მომსახურების მიმწოდებელი ავტორიზებული პირი თუ ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შექმნას მომხმარებელთა საჩივრების განხილვისა და მათზე რეაგირების ეფექტური შიდა მექანიზმი.

2. მომხმარებელს უფლება აქვს საჩივრით მიმართოს მომსახურების მიმწოდებელს, პირდაპირ კომისიას, მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის მეშვეობით, ან სასამართლოს. მომხმარებელთა უფლებების დაცვის პროცესის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას კომისიაში ახორციელებს კომისიასთან მოქმედი მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველი.

3. მომხმარებელთა განცხადებები და საჩივრები მიიღება ყოველ სამუშაო დღეს.

თავი 7[1]. სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენების წესი

(8.04.2005 N6)

მუხლი 51[1]. ტერმინთა განმარტება

ამ თავში გამოყენებულ ტერმინებს ამ თავის მიზნებისთვის აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ამპლიტუდური ტელეგრაფია – რადიოკავშირის სახე, რომლის დროსაც გადაცემული ინფორმაცია განსაზღვრულია მიღებაზე გრაფიკული ფორმით ჩასაწერად. გადაცემული ინფორმაცია შესაძლებელია მიღებული იქნას ელექტრონული ვერსიის ფორმითაც და შენახული შემდგომი გამოყენებისთვის;

ბ) ამპლიტუდური ტელეფონია – რადიოკავშირის სახე, რომელიც ძირითადად განსაზღვრულია ინფორმაციის გაცვლისათვის ამპლიტუდური მოდულაციის გამოყენებით;

გ) ერთზოლოვანი ტელეფონია – რადიოკავშირის სახე, რომელიც ძირითადად განსაზღვრულია ინფორმაციის გაცვლისათვის ერთი გვერდითი ზოლოვანი ამპლიტუდური მოდულაციის გამოყენებით;

დ) ვეტერანი რადიომოყვარული – რადიომოყვარული არანაკლებ 25 წლის გამოცდილებით, რომელსაც ამ წესების შესაბამისად ენიჭება სპეციალური უფლებები;

ე) ინდივიდუალური სამოყვარულო რადიოსადგური - სამოყვარულო რადიოსადგური, რომლის მფლობელი არის მხოლოდ ერთი კონკრეტული ფიზიკური პირი;

ვ) კოლექტიური სამოყვარულო რადიოსადგური - სამოყვარულო რადიოსადგური, რომლის მფლობელი არის რადიომოყვარულთა ნებისმიერი კოლექტივი (მიუხედავად მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა), რომელშიც ერთიანდებიან რადომოყვარულები და განსაზღვრავენ სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენებაზე პასუხისმგებელ პირს;

ზ) კომისიის მიერ რადიოსახმობის მინიჭება – რადიომოყვარულისათვის რადიოსახმობის მინიჭება ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის რადიორეგლამენტის შესაბამისას რადიოსამოყვარულო სამსახურისათვის გამოყოფილ რადიოსიხშირულ ზოლებში რადიოსამოყვარულო კავშირის განსახორციელებლად; *(24.03.2006 N4)*

თ) "მეორადი გამოყენების" დიაპაზონები – რადიოსიხშირული სპექტრის დიაპაზონები, რომლებშიც ფუნქციონირებადი სხვადასხვა სამსახურის რადიოსადგურები უნდა შეეგუონ მავნე რადიოხელშეშლებს;

ი) "მესამე პირი" – პირი, რომელიც არ მონაწილეობს სამოყვარულო რადიოკავშირის განხორციელებაში;

კ) მოკლეტალღოვანი დიაპაზონი - სიხშირული დიაპაზონი 3-30 მგჰც;

ლ) "პირველადი გამოყენების" დიაპაზონები – რადიოსიხშირული სპექტრის დიაპაზონები, რომლებშიც ფუნქციონირებადი სხვადასხვა სამსახურის რადიოსადგურები დაცული უნდა იყოს მავნე მიუღებელი რადიოხელშეშლებისაგან;

მ) რადიოკავშირის ციფრული სახეობანი (PACKET, AMTOR, PACTOR, SITOR, SSTV და ა.შ.) – რადიოკავშირის სახეობანი, რომლის დროსაც ინფორმაციის გადასაცემად რადიოსიხშირის მოდულირება ხორციელდება ციფრული სახით;

ნ) რადიომოყვარულთა საერთაშორისო კავშირი (IARU) – კავშირი, რომლის მიზანია ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის (ITU) მიერ დადგენილი რეგულირების ჩარჩოებში სამოყვარულო და სამოყვარულო-თანამგზავრული სამსახურების დაცვა და განვითარება;

ო) რადიოსამოყვარულო და საერთაშორისო Q კოდები–რადიოკავშირის სეანსის დროს გამოყენებული აბრევიატურა;

პ)რადიოსამოყვარულო სამსახური - რადიომოყვარულთა (რომელთაც აქვთ მინიჭებული შესაბამისი რადიოსახმობი და ამ საქმიანობას ისინი ეწევიან პირადი და მატერიალური დაინტერესების გარეშე) შორის რადიოკავშირისა და ტექნიკური კვლევის მიზნით განხორციელებული კავშირის სახე; *(24.03.2006 N4)*

ჟ) საანტენო და საფიდერო მოწყობილობა – გამტარებისაგან ან ლითონისაგან შედგენილი კონსტრუქცია, რომლის საშუალებითაც სხივდება ეთერში გადამცემი რადიოსადგურის მიერ გენერირებული ელექტრომაგნიტური ტალღები;

რ) საერთაშორისო შეჯიბრებები და ტურები რადიომოყვარულთა შორის - CQ WW, WPX, WAE, IARU და ARRL;

ს) საკვალიფიკაციო საბჭო – კომისიის გადაწყვეტილებით შექმნილი სპეციალური უფლებამოსილების მქონე საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის კომისიის სამი წარმომადგენელი და სამი რადიომოყვარული.

ტ) სამოყვარულო ბარათი – ბარათი, რომელიც წარმოადგენს სამოყვარულო რადიოკავშირის განმხორციელებელი პირის იდენტიფიკატორს;

უ) სამოყვარულო რადიოსადგურების კატეგორიები: “E” ექსტრა, “A”, “B” და “C”-სამოყვარულო რადიოსადგურები, რომლებიც გამიჯნულია განსაზღვრული ტექნიკური მახასიათებლებით (დასაშვები სიხშირული დიაპაზონები, გამოსხივების სახეობები და რადიოგადამცემი მოწყობილობის გამოსავალი სიმძლავრე);

ფ) სამოყვარულო რადიოსადგური - სამოყვარულო სამსახურის რადიოსადგური. სამოყვარულო რადიოსადგური შეიძლება იყოს ინდივიდუალური ან კოლექტიური გამოყენების;

ქ) სამოყვარულო რეტრანსლატორი – ავტომატური, სრული დუპლექსის რეჟიმში მომუშავე მიმღებ-გადამცემი რადიოსადგური, რომელიც მის მიერ მიღებულ სიგნალს გადასცემს 600 კჰც-ის წანაცვლებით;

ღ) სახმობი ნიშანი – ლათინური ასოებისა და ციფრებისაგან შედგენილი კომბინაცია, რომლის პრეფიქსი აღნიშნავს ქვეყანას, ხოლო სუფიქსი კონკრეტულ რადიოსადგურს;

ყ) სიხშირული დიაპაზონი – რადიოსიხშირული ზოლი, რომელიც განსაზღვრულია ქვედა და ზედა ზღვრებით;

შ) სიხშირული ტელეფონია – რადიოკავშირის სახე, რომელიც ძირითადად განსაზღვრულია ინფორმაციის გაცვლისათვის სიხშირული მოდულაციის გამოყენებით;

ჩ) ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირი (ITU) – კავშირი წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზირებულ სააგენტოს;

ც) ტესტირება - საკვალიფიკაციო საბჭოს მიერ რადიომოყვარულის კვალიფიკაციის დადგენის ან/და ამაღლების მიზნით ჩატარებული საგამოცდო (წერილობითი) გამოკითხვა, რომელიც ტარდება წინამდებარე წესის, უსაფრთხოების ტექნიკის, ეთერში მუშაობის წესის, აგრეთვე ელექტროობის და რადიოტექნიკის სფეროში ცოდნის შემოწმების მიზნით;

ძ) ულტრამოკლეტალღოვანი დიაპაზონი – სიხშირული დიაპაზონი 30 მგჰც-ის ზევით;

წ) ფონეტიკური ანბანი – ინფორმაციის გადაცემისას წარმოთქმული ბგერების შესაბამისი სიტყვების ჩამონათვალი;

ჭ) /A – საჰაერო-საავიაციო ხომალდის ბორტებზე დამონტაჟებული სამოყვარულო რადიოსადგურის აღმნიშვნელი სიმბოლო;

ხ) /M – ავტო-მოტოსატრასპორტო საშუალებებში დამონტაჟებული სამოყვარულო რადიოსადგურის აღმნიშვნელი სიმბოლო;

ჯ) /MM – საზღვაო-სანაოსნო ხომალდებზე დამონტაჟებული სამოყვარულო რადიოსადგურის აღმნიშვნელი სიმბოლო;

ჰ) /P – სატარებელი რადიოსადგური – სატარებელი სამოყვარულო რადიოსადგურის აღმნიშვნელი სიმბოლო;

ჰ1) ‘’SOS” და “MAYDAY” სიგნალები – უბედურების და დახმარების საერთაშორისო სიგნალები;

ჰ2) 4L1, 4L2, 4L3, 4L4, 4L6, 4L7, 4L8, 4L9 და 4L0 პრეფიქსის ბლოკები – სამოყვარულო რადიოსადგურის სახმობი ნიშნების პრეფიქსის ბლოკები, რომელშიც პირველი ორი ნიშანი აღნიშნავს ქვეყნის კოდს.

მუხლი 51 2. სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენება *(24.03.2006 N4)*

1. სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ კომისიის გადაწყვეტილებით სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად რადიოსახმობის მინიჭების შემთხვევაში;

2. სამოყვარულო რადიოსადგურის რეგისტრაცია, ტექნიკური პარამეტრების კონტროლი და რადიოსამოყვარულო სიხშირული დიაპაზონების რადიომონიტორინგი ხორციელდება კომისიის მიერ;

3. სამოყვარულო რადიოსადგური უნდა იყოს განთავსებული ისე, რომ შემთხვევით პირებს არ ჰქონდეთ მისი თვითნებურად მოქმედებაში მოყვანის საშუალება;

4. კოლექტიური სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენება ეკრძალებათ იმ რადიომოყვარულებს, რომლებსაც აქვთ ამ კოლექტიური რადიოსადგურის კატეგორიაზე დაბალი კატეგორიის ინდივიდუალური ან/და არა აქვთ კოლექტიური სამოყვარულო რადიოსადგურით სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად მინიჭებული რადიოსახმობი;

5. ინდივიდუალური ან კოლექტიური სამოყვარულო რადიოსადგურის გამომყენებელს შეუძლია ეთერში მუშაობის უფლება მისცეს ნებისმიერ რადიომოყვარულს, რომელსაც მინიჭებული აქვს სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად რადიოსახმობი;

6. მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შემთხვევაში რადიომოყვარული ვალდებულია ამის შესახებ წერილობით აცნობოს კომისიას;

7. სამოყვარულო რადიოსადგურის განთავსების ადგილზე დაცული უნდა იყოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად რადიოსახმობის მინიჭების შესახებ კომისიის გადაწყვეტილება;

ბ) წინამდებარე წესი;

გ) სააპარატო ჟურნალი ან ინფორმაცია ელექტრონულ ფორმატში, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს:

გ.ა.) რადიოკავშირის ჩატარების თარიღი და დრო;

გ.ბ.) იმ რადიოსადგურის სახმობი ნიშანი, რომელთანაც ჩატარებული იქნა რადიოკავშირი;

გ.გ.) სიხშირული დიაპაზონი და გამოსხივების სახე;

გ.დ.) მიღებული და გადაცემული სიგნალის შეფასება;

8. სააპარატო ჟურნალში არ არის აუცილებელი შევიდეს ინფორმაცია ულტრამოკლეტალღოვან დიაპაზონებში ჩატარებული რადიოკავშირების შესახებ;

9. რადიომოყვარული ვალდებულია სააპარატო ჟურნალი შეინახოს ორი წლის განმავლობაში.

მუხლი 51[3]. სამოყვარულო რადიოსადგურის კატეგორიები

1. სამოყვარულო რადიოსადგურები იყოფა ოთხ კატეგორიად (“E” ექსტრა, “A”, “B” და “C”), რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება სიხშირული დიაპაზონებით, გამოსხივების სახეობებით და რადიოგადამცემი მოწყობილობის გამოსავალი სიმძლავრით (დანართი N 8);

”2. “C” კატეგორიის სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენებისათვის რადიოსახმობის მინიჭება ხორციელდება 10 წლის ასაკს მიღწეულ პირებზე; “B” კატეგორიის - 14 წლის ასაკს მიღწეულ პირებზე; “A” და “E” ექსტრა კატეგორიის - 16 წლის ასაკს მიღწეულ პირებზე; *(14.07.2006 N7)*

3. რადიომოყვარულის კვალიფიკაცია განისაზღვრება საკვალიფიკაციო ტესტირების შედეგით. “A” კატეგორიის სამოყვარულო რადიოსადგურით სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად მინიჭებული რადიოსახმობის მქონე რადიომოყვარული ვალდებულია მორზეს ანბანით, ღია ტექსტის სახით, მიიღოს და გადასცეს მინიმუმ 30 ნიშანი წუთში, ხოლო “E” ექსტრა კატეგორიისთვის - მინიმუმ 60 ნიშანი წუთში; *(24.03.2006 N4)*

4. “E” ექსტრა კატეგორიის სამოყვარულო რადიოსადგურით სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად რადიოსახმობის მიღება შესაძლებელია, თუ “A” კატეგორიის სამოყვარულო რადიოსადგურით სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად მინიჭებული რადიოსახმობის მქონე რადიომოყვარული დააკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილიდან ერთ-ერთ მოთხოვნას: *(24.03.2006 N4)*

ა) სამოყვარულო ბარათების მეშვეობით დაადასტურებს რადიოკავშირს 200 და მეტ ქვეყანასთან;

ბ) მიღებული აქვს სამოყვარულო ორგანიზაციების მიერ გაცემული 100 ან მეტი სხვადასხვა დიპლომი (სიგელი);

გ) დაიკავებს პირველ, მეორე ან მესამე ადგილს შემდეგი საერთაშორისო შეჯიბრებების: CQ WW, WPX, WAE, IARU ან/და ARRL ნებისმიერ ტურში;

5. უფრო მაღალი კატეგორიის სამოყვარულო რადიოსადგურით სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად რადიოსახმობის მიღება შესაძლებელია დაბალი კატეგორიის სამოყვარულო რადიოსადგურით სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად რადიოსახმობის მინიჭებიდან არა ნაკლებ ერთი წლის შემდეგ; *(24.03.2006 N4)*

6. ტესტირებას ატარებს კომისიის მიერ დამტკიცებული საკვალიფიკაციო საბჭო.

7. ტესტირება ტარდება ყოველ სამ თვეში ერთხელ, რომლის ჩატარების ზუსტ თარიღს ადგენს საკვალიფიკაციო საბჭო;

8. საკვალიფიკაციო საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს ის რადიომოყვარული, რომელსაც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში დარღვეული ჰქონდა წინამდებარე წესი.

მუხლი 51[4]. ძირითადი მოთხოვნები (სამოყვარულო რადიოსადგურის ტექნიკური მოთხოვნები)

1. სამოყვარულო რადიოსადგურს (მიმღებ-გადამცემს) თან უნდა ერთოდეს:

ა) საანტენო და საფიდერო მოწყობილობები მეხდამცავის ჩათვლით;

ბ) გადამცემი აპარატურის პარამეტრების საზომი და საკონტროლო მოწყობილობები.

2. სამოყვარულო რადიოსადგურები კატეგორიების შესაბამისად იყენებენ მხოლოდ შემდეგი სახის გამოსხივებებს:

ა) ამპლიტუდური ტელეგრაფია;

ბ)ამპლიტუდური ტელეფონია;

გ) ერთზოლოვანი ტელეფონია;

დ) სიხშირული ტელეფონია;

ე) რადიოკავშირის ციფრული სახეობანი (PACKET, AMTOR, PACTOR, SITOR, SSTV და ა.შ.);

3. სამოყვარულო რადიოგადამცემი სიხშირის სტაბილურობისადმი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: ჩართვის მომენტიდან 15 წუთის განმავლობაში, სიხშირის აბსოლუტური ცდომილება – 300 ჰც მოკლე ტალღებზე და 1000 ჰც ულტრამოკლე ტალღებზე;

4. სამოყვარულო რადიოსადგურის სიმძლავრე იზომება ანტენის ექვივალენტურ დატვირთვაზე;

5. სამოყვარულო რადიოსადგურის გვერდითი გამოსხივების საშუალო სიმძლავრე უნდა იყოს:

ა) ულტრამოკლეტალღოვანი 144 მგჰც, 430 მგჰც და 1296 მგჰც დიაპაზონებისთვის არაუმეტეს 25 მკვტ. ეს პარამეტრი სხვა ულტრამოკლეტალღოვანი დიაპაზონებისთვის არ არის განსაზღვრული;

ბ)მოკლეტალღოვანი დიაპაზონებისთვის - ძირითადი გამოსხივების სიმძლავრეზე 40 დბ-ით ნაკლები სამოყვარულო რადიოსადგურის არაუმეტეს 5 ვტ სიმძლავრით ფუნქციონირებისას;

6. სამოყვარულო რადიოსადგურის და ანტენის კონსტრუქცია უნდა იყოს უსაფრთხო ირგვლივ მყოფთათვის;

7. რადიომოყვარულს უფლება აქვს განათავსოს სახლის სახურავზე (სათანადო ნებართვის საფუძველზე, თუ ასეთი გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით) სამოყვარულო ანტენა, რომლის დამონტაჟებაზე, უსაფრთხო სარგებლობასა და შეკეთებაზე პასუხისმგებელია ამ რადიოსადგურის მფლობელი;

8. სამოყვარულო რადიოსადგურის მიერ შექმნილი ელექტრომაგნიტური ველის ინტენსივობა არ უნდა აღემატებოდეს ზღვრულ დასაშვებ სანიტარულ ნორმებს.

მუხლი 51[5]. სამოყვარულო რადიოსადგურით სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად რადიოსახმობის მინიჭება *(24.03.2006 N4)*

1. სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ კომისიის მიერ სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად რადიოსახმობის მინიჭების შემდგომ;

2. რადიოსახმობის მინიჭება ხორციელდება შემდეგი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე:

ა) განცხადება სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენებაზე;

ბ) მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ფოტოსურათი;

დ) საკვალიფიკაციო საბჭოს ცნობა ტესტირების ჩაბარების თაობაზე;

ე) რადიომოყვარულის არასრულწლოვანობის შემთხვევაში მშობლის (ან მეურვის) ცნობა სამოყვარულო რადიოსადგურის განთავსების თანხმობაზე, რომელიც უზრუნველყოფს წინამდებარე წესის დაცვას და რადიოსადგურის ტექნიკურ უსაფრთხოებას;

ვ) აპარატურის დასახელება.

3. კოლექტიური სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენებისთვის დამატებით წარმოდგენილი უნდა იქნას:

ა)რადიომოყვარულთა კოლექტივის სადამფუძნებლო და სარეგისტრაციო მონაცემები;

ბ)კოლექტიური სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენებაზე პასუხისმგებელი პირის მონაცემები;

4. რადიომოყვარულს, რომელსაც მინიჭებული აქვს სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად რადიოსახმობი, დამატებითი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე უფლება აქვს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოიყენოს სახმობ ნიშანთან ერთად შემდეგი ნიშნები:
/P, /M, /MM და /A;

5. სამოყვარულო რადიოსადგურით სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად რადიოსახმობის მინიჭების შემთხვევაში რადიომოყვარულს უფლება აქვს ეთერში გავიდეს საქართველოს ნებისმიერი გეოგრაფიული წერტილიდან ყოველგვარი დამატებითი ნებართვის გარეშე;

6. სამოყვარულო რადიოსადგურით სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად რადიოსახმობის მინიჭება ხორციელდება ხუთი წლის ვადით.

7. სამოყვარულო რადიოსადგურით სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად რადიოსახმობის მისანიჭებლად, უცხო ქვეყნის რადიომოყვარული ვალდებულია კომისიაში წარმოადგინოს:

ა) განცხადება რადიოსახმობის მიღებაზე;

ბ) იმ ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტის ასლი, რომლის რეზიდენტიც არის იგი;

გ) მისამართი, სადაც განთავსებული იქნება სამოყვარულო რადიოსადგური; საქართველოში დროებით რეგისტრაციის ადგილისამყოფელი;

დ) ფოტოსურათი;

ე) აპარატურის დასახელება.

მუხლი 51[6]. სამოყვარულო რადიოსადგურებისთვის ნებადართული სიხშირული დიაპაზონები, დაშვებული სიმძლავრეები და რადიოკავშირის სახეები

1. ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის (ITU) რადიორეგლმენტის შესაბამისად, ქვემოთ მოყვანილ ცხრილში განსაზღვრულია სიხშირეთა დიაპაზონები, დაშვებული სიმძლავრეები და რადიოკავშირის სახეები, რომელიც შეძლება გამოიყენოს საქართველოს სამოყვარულო რადიოსადგურებმა:

სიხშირეები 30 მგჰც-მდე (გრძელი და მოკლე ტალღები)		სიხშირეები 30 მგჰც-ს ზევით (ულტრამოკლე დიაპაზონი)	
135,7-137,8 კჰც	14000-14250 კჰც 14250-14350 კჰც	144-146 მგჰც	47-47,2 გგჰც
1810-2000 კჰც	18068-18318 კჰც	430-440 გმჰც 435-438 მგჰც	76-81 გგჰც
3500-3650 კჰც 3650-3800 კჰც	21000-21450 კჰც	1260-1300 მგჰც 2400-2450 მჰც	119,98-120,02 გგჰც
7000-7100 კჰც	24890-25140 კჰც	5650-5670 მგჰც	142-144 გგჰც 144-149 გგჰც
10100-10150 კჰც	28000-29700 კჰც	10-10,5 გგჰც 24,0-25,05 გგჰც 24,05-24,25 გგჰც	241-250 გგჰც

2. სამოყვარულო-თანამგზავრული სამსახური იყენებს შემდეგ სიხშირულ დიაპაზონებს: 7000-7100 კჰც, 14000-14250 კჰც, 18068-18318 კჰც, 21000-21450 კჰც, 24890-25140 კჰც, 28-29,7 მგჰც;

3. სამოყვარულო-თანამგზავრული რადიოსადგურის გამოსხივების სიმძლავრის ნაკადის სიმკვრივე დედამიწის ზედაპირზე არ უნდა აღემატებოდეს მინუს 110 დბ (ვტ/მ^2);

4. სამოყვარულო რეტრანსლატორების მაქსიმალური სიმძლავრე არ უნდა აღემატებოდეს 100 ვტ-ს.

მუხლი 51[7]. სამოყვარულო რადიოკავშირის განხორციელება

1. სამოყვარულო რადიოსადგურის ფუნქციონირება დაშვებულია შესაბამისი კატეგორიის მიხედვით ნებადართული სიხშირული დიაპაზონის ნებისმიერ სიხშირეზე. რადიომოყვარული ვალდებულია შეარჩიოს სიხშირე ისე, რომ გასხივებული სიგნალის სრული სპექტრი, სიხშირის ნებისმიერი ცვლილების

მიუხედავად, ყოველთვის იმყოფებოდეს შესაბამისი სიხშირული ზოლის და სამოყვარულო სიხშირული დიაპაზონების ფარგლებში;

2. “მეორადი გამოყენების” დიაპაზონებში რადიომოყვარულები ვალდებულნი არიან არ შეუქმნან რადიოხელშეშლები “პირველადი გამოყენების” დიაპაზონებში ფუნქციონირებად რადიოსადგურებს და მათი წარმოქმნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეიცვალონ სიხშირე;

3. სამოყვარულო სამსახურისთვის გამოყოფილ დიაპაზონებში რადიომოყვარულები ვალდებულნი არიან რადიოკავშირი განახორციელონ მხოლოდ სამოყვარულო რადიოსადგურებთან. რადიოკავშირის განსახორციელებლად მათ შეუძლიათ გამოიყენონ სამოყვარულო რეტრანსლატორები და სამოყვარულო-სათანამგზავრო სამსახურისთვის განკუთვნილი დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები;

4. რადიოკავშირი არასამოყვარულო რადიოსადგურებთან დასაშვებია მხოლოდ ამ უკანასკნელთაგან ‘’SOS”-ის ან “MAYDAY”-ის მიღების შემთხვევაში, რომლის შესახებაც რადიომოყვარული ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს კომისიას;

5. რადიოკავშირის დამყარებისას რადიომოყვარულები ვალდებულნი არიან დაასახელონ თავიანთი სახმობი ნიშანი რადიოკავშირის ყოველი სეანსის დასაწყისში და დამთავრებისას, ხოლო ხანგრძლივი რადიოკავშირის ჩატარებისას გაიმეორონ თავისი სახმობი ნიშანი ყოველ 5 წუთში ერთხელ;

6. რადიომოყვარული ვალდებულია დამარცვლით, გარკვევით და ფონეტიკური ანბანის (დანართი N 5) გამოყენებით გადასცეს სახმობი ნიშანი;

7. რადიოკავშირის დამყარებისას რადიომოყვარულს უფლება ეძლევა გაცვალოს ინფორმაცია: რადიომოყვარულობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, სამოყვარულო რადიოაპარატურის ტექნიკური მონაცემების, მეტეოროლოგიური პირობების და რადიოტალღების გავრცელების შესახებ. რადიომოყვარულმა არ უნდა ისაუბროს პირად საკითხებზე და გაცვალოს ინფორმაცია, რომლის გადაცემაც ეთერში თავისი ნაკლები მნიშვნელობის გამო არ არის გამართლებული;

8. რადიოკავშირის დამყარებისას რადიომოყვარულს უფლება აქვს გამოიყენოს მხოლოდ რადიოსამოყვარულო და საერთაშორისო Q კოდები (დანართი N 6 და N 7);

9. ეთერში იკრძალება:

ა) სახელმწიფო და სამსახურეობრივი საიდუმლო ხასიათის ინფორმაციის გადაცემა;

ბ) შიფრების და სხვა კოდების გამოყენება;

გ) ცრუ და არასწორი ინფორმაციის გადაცემა;

დ) სახმობი ნიშნის გარეშე ან სხვა სახმობი ნიშნით სარგებლობა;

ე) ნებადართულზე უფრო მაღალი სიმძლავრის სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენება;

3) იმ სიხშირეებზე მუშაობა, რომელიც არ არის მინიშნებული რადიოსახმობის მინიჭების შესახებ კომისიის გადაწყვეტილებაში; *(24.03.2006 N4)*

ზ) პოლიტიკასთან, რელიგიასთან, სექსთან და კომერციასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა;

თ) შეურაცხმყოფელი და უხამსი გამონათქვამების გამოყენება;

ი) მუსიკალური ჩანაწერების, რადიოსამაუწყებლო, სატელევიზიო და სარეკლამო პროგრამების გადაცემა;

კ) იმ სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენება, რომელიც არ პასუხობს ამ წესით დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს და უსაფრთხოების ტექნიკის წესებს;

ლ) საერთაშორისო სტიქიური უბედურების სიგნალების "SOS"-ის და "MAYDAY"-ის გამოყენება განსაკუთრებული შემთხვევების გარდა;

მ) რადიოსადგურის გამოყენება სატელევიზიო, რადიოსამაუწყებლო ან სხვა სამსახურებისადმი რადიოხელშეშლების წარმოქმნის შემთხვევაში. ამ დროს სამოყვარულო რადიოსადგურის მფლობელი ვალდებულია დაადგინოს და აღმოფხვრას და შემდგომ კომისიას შეატყობინოს ამ ხელშეშლების გამომწვევი მიზეზები;

ნ) ეთერში მუშაობა ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ;

0. რადიომოყვარულის მფლობელობაში არსებული რადიოსადგურით რადიოკავშირის განსახორციელება აკრძალულია იმ პირებისათვის, რომლებსაც არ აქვთ მინიჭებული რადიოსახმობი სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად; *(24.03.2006 N4)*

11. რადიოკავშირის ჩატარებისას რადიომოყვარული ვალდებულია დაიცვას საყოველთაო რადიოსამოყვარულო ეთიკა, იყოს თავაზიანი, მომთმენი და ტაქტიანი.

მუხლი 51[8]. სამოყვარულო რადიოსადგურის სახმობი ნიშანი

1. კომისიის გადაწყვეტილებით, ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის (ITU) რადიორეგლამენტის შესაბამისად, სამოყვარულო რადიოსადგურს ენიჭება სახმობი ნიშანი;

2. რადიომოყვარულს უფლება აქვს საქართველოში იქონიოს მხოლოდ ერთი მუდმივი სახმობი ნიშანი (მისი შეცვლის უფლების გარეშე);

3. კომისია ახორციელებს:

ა) იმ სპეციალური სახმობი ნიშნების მინიჭებას, რომელიც გამოიყენება როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ღონისძიებების ჩატარებისას;

ბ) "E" ექსტრა და "A" კატეგორიის სამოყვარულო რადიოსადგურების გამოყენებისთვის სპეციალური დროებითი სახმობი ნიშნების გამოყოფას საერთაშორისი შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად;

გ) საერთო წესით, უცხო ქვეყნის რადიომოყვარულების მიერ სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენებისთვის დროებითი ან მუდმივი სახმობის მინიჭებას;

4. ინდივიდუალური და კოლექტიური სამოყვარულო რადიოსადგურების გამოყენებისთვის ”C” კატეგორიის რადიომოყვარულებს ენიჭებათ ექვსსიმბოლიანი სახმობი ნიშანი, ხოლო “B” და “A” კატეგორიების რადიომოყვარულებს – ხუთსიმბოლიანი. სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენებისთვის “E” კატეგორიის რადიომოყვარულებს, სურვილის მიხედვით უფლება აქვთ სუფიქსში, არჩევით, დაიტოვონ ერთი სიმბოლო ათი პრეფიქსიდან ნებისმიერ ბლოკზე;

5. სამოყვარულო რადიოსადგურების გამოყენებისთვის ”C”, “B” და “A” კატეგორიის რადიომოყვარულებს მუდმივად ენიჭება 4L1, 4L2, 4L3, 4L4, 4L6, 4L7, 4L8, და 4L0 პრეფიქსის ნებიმიერი ბლოკი, ხოლო 4L9 გადადის რეზერვში და ენიჭება კომისიის მიერ დროებით, სპეციალური ღონისძიებების ჩატარებისას;

6. ვეტერან რადიომოყვარულზე შეიძლება გაცემული იქნას 4L4 პრეფიქსის ბლოკში ერთსიმბოლიანი ნიშანი.

მუხლი 51[9]. ულტრამოკლე დიაპაზონების სამოყვარულო რეტრანსლატორის გამოყენება და მუშაობის წესი

1. სამოყვარულო რეტრანსლატორის დაყენება შეუძლია ნებისმიერ რადიომოყვარულს ან კოლექტიური სამოყვარულო რადიოსადგურს;

2. სამოყვარულო რეტრანსლატორი ფუნქციონირებს ქვემომოყვანილ ცხრილში მოცემული სიხშირული განაწილების შესაბამისად, თუ მისი გამოყენება გათვალისწინებულია სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად რადიოსახმობის მინიჭების შესახებ კომისიის გადაწყვეტილებით:

№ სამუშაო არხის	მიღების სიხშირე (კჰც)	გადაცემის სიხშირე (კჰც)
R 0	145000	145600
R 1	145025	145625
R 2	145050	145650
R 3	145075	145675
R 4	145100	145700
R 5	145125	145725
R 6	145150	145750
R 7	145175	145775
R 8	145200	145800

(24.03.2006 N4)

3. სამოყვარულო რეტრანსლატორის მაქსიმალური სიმძლავრე არ უნდა აღემატებოდეს 100 ვტ-ს. (რადიოკავშირის სახე: FM სიხშირული მოდულაცია - F3E);

უხლი 51[10]. რადიომოყვარულის პასუხისმგებლობა წინამდებარე წესების დარღვევისათვის *(24.03.2006 N4)*

1. ამ თავით განსაზღვრული წესების დარღვევის შემთხვევაში სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად მინიჭებული რადიოსახმობის მქონე რადიომოყვარულებს, აგრეთვე იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც სამოყვარულო რადიოკავშირს ახორციელებენ ზემოთ აღნიშნული მინიჭების გარეშე, კომისია აფრთხილებს დარღვევის განსაზღვრულ ვადაში აღმოფხვრის თაობაზე, რის შესახებაც ღებულობს გადაწყვეტილებას;

2. გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ დამრღვევი პირისთვის მიცემული ვადის გასვლისა და დარღვევის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია დამრღვევი პირის მიერ გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად მის მიმართ გამოიყენოს ჯარიმა, რომლის ოდენობაც განისაზღვრება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 171-ე მუხლის მე-4 პუნქტით;

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, როცა არსებობს უტყუარი მტკიცებულება, რომ საფრთხე ექმნება საზოგადოების უსაფრთხოებას და ადამიანის ჯანმრთელობას, აგრეთვე არსებული ან სავარაუდო ელექტრომაგნიტური შეუთავსებლობის თავიდან აცილების ან/და რადიოდანადგარების ელექტრომაგნიტური ხელშეშლისაგან დაცვის მიზნით, კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება დარღვევის აღმოფხვრის თაობაზე, ხოლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში აღსრულების უზრუნველსაყოფად დისკრეციულად გამოიყენოს სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენების დროებით შეზღუდვა;

4. კომისია უფლებამოსილია აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენოს მხოლოდ ის საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს კომისიის გადაწყვეტილების ყველაზე სწრაფ და ნაკლები დანახარჯებით შესრულებას;

5. კომისია უფლებამოსილია რადიომოყვარულის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება რადიოკავშირის განსახორციელებლად რადიოსახმობის მინიჭების შესახებ კომისიის გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

მუხლი 51[11]. საკვალიფიკაციო საბჭო

1. საკვალიფიკაციო საბჭო უფლებამოსილია:

ა) განსაზღვროს რადიომოყვარულის კვალიფიკაცია საკვალიფიკაციო ტესტირებით;

ბ) შეადგინოს და გამოაქვეყნოს საკვალიფიკაციო ტესტები;

გ) განიხილოს სამოყვარულო რადიოკავშირის განხორციელების წესების დარღვევები და დარღვევათა დადასტურების შემთხვევაში, მიმართოს კომისიას ამ წესით განსაზღვრული ზომების გასატარებლად;

2. საკვალიფიკაციო საბჭოს სხდომები ტარდება წელიწადში ოთხჯერ, ყოველი კვარტლის მე-2 თვის ბოლო ოთხშაბათს.

თავი 8. გარდამავალი დებულებანი

მუხლი 52. ნუმერაციის რესურსის გამოყენება გარდამავალ პერიოდში

1. "კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის 54^1 მუხლის 1 პუნქტით გათვალისწინებული ნუმერაციის ახალი სისტემის დამდგენი ნორმატიული აქტის ამოქმედებამდე კომისია არ გასცემს ნებართვებს ამ წესების მეორე მუხლის "ფ.გ." ქვეპუნქტში გათვალისწინებულ იმ სატელეფონო (სასადგურო) ინდექსის გამოყენებაზე, რომლის პირველ ციფრად გამოყენებული იქნება ციფრები: "8" ან "0".

2. მომსახურების მიმწოდებლებმა, რომლებიც 2000 წლის 1 ივლისამდე კანონმდებლობის შესაბამისად იყენებდნენ ადგილობრივი ქსელის შემოკლებულ სატელეფონო ნომრებს, ამ დადგენილების ამოქმედებიდან სამი თვის ვადაში მიმართონ კომისიას განცხადებით ნუმერაციის რესურსის გამოყენების ნებართვის მისაღებად.

3. კავშირგაბმულობის სფეროს ოპერატორმა, ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა, დაწესებულებამ ან ორგანიზაციამ, რომლის საქმიანობა ხორციელდება კანონმდებლობის საფუძველზე ლიცენზიის გარეშე, რომელსაც მინიჭებული აქვს ნუმერაციის რესურსის გამოყენების უფლება და არ ახორციელებს ნუმერაციის რესურსით პრაქტიკულ საქმიანობას, ამ წესების ამოქმედებიდან ექვსი თვის ვადაში უზრუნველყოს პრაქტიკული საქმიანობის განხორციელება.

მუხლი 53. გაცემული ნებართვების მოქმედების ვადა

1. ამ წესების ამოქმედებამდე ლიცენზიის გარეშე საქმიანობისთვის სიხშირის მინიჭების მოქმედების ვადა განისაზღვროს ამ წესების ამოქმედებიდან ერთი წლის ვადით.

2. ამ წესების ამოქმედებამდე ნუმერაციის რესურსის გამოყენებაზე გაცემული ნებართვის მოქმედების ვადა განისაზღვროს ამ წესების ამოქმედებიდან ერთი წლის ვადით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ნუმერაციის რესურსის გამოყენების ნებართვა გათვალისწინებულია ლიცენზიაში ან ლიცენზირებასთან დაკავშირებულ კომისიის გადაწყვეტილებაში.

მუხლი 54. ამოღებულია *(24.03.2006 N4)*

დანართი N 1

<u>საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია</u>

სალიცენზიო მოწმობა N

ლიცენზიის მფლობელი:_____

ლიცენზიის სახე: _____

გაცემის თარიღი: _____

ძალაშია: _____

კომისიის წევრი	კომისიის თავმჯდომარე	კომისიის წევრი	ბ.ა.
დავით პატარაია	ვახტანგ აბაშიძე	კახი პოპიაშვილი	

სალიცენზიო მოწმობა გაცემულია N ლიცენზიის საფუძველზე და ბეჭდის გარეშე ძალა არა აქვს

ლიცენზიის გასხვისება ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი ფორმით სხვა პირისათვის გადაცემა, დაგირავება და ლიცენზიით მინიჭებული უფლებების საწარმოს საწესდებო კაპიტალში შეტანა აკრძალულია

ლიცენზიის მფლობელის მიერ კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის დარღვევა იწვევს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას, ლიცენზიის მოქმედების შეჩერებას, გაუქმებას.

დანართი N2 (14.07.2006 N7)

შ ე მ ო წ მ ე ბ ი ს ა ქ ტ ი N_____

1. შემოწმების (მონიტორინგის) ჩატარების თარიღი და დრო:
_____

2. შემოწმების (მონიტორინგის) ჩატარების ადგილი:
_____

3. შემოწმების (მონიტორინგის) ჩატარების საფუძველი:
_____
_____
_____
_____

4. შემოწმებული პირის სახელი, გვარი, თანამდებობა (არსებობის შემთხვევაში ავტორიზაციის ნომერი, ლიცენზიის სახე და ნომერი):
_____
_____
_____

5. შემოწმებული დოკუმენტებისა და მოწყობილობების ჩამონათვალი, შემოწმების ჩატარების მეთოდები, ხერხები, ზუსტი დრო და ადგილი:
_____

_____
_____
_____

6. შემოწმებულის (ან/და მისი თანამშრომლის) ან დაინტერესებული პირის ახსნა-განმარტების მიმოხილვა:

_____
_____
_____
_____

7. შემმოწმებლის კომენტარები და შემოწმების შედეგები, დასკვნა ნორმატიული აქტის მუხლის მითითებით, რომლითაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა დარღვევის არსებობისას, განმარტება, იმის შესახებ, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი დგება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელი გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით:

_____
_____
_____
_____

8. შემოწმებულის სხვა ახსნა-განმარტებანი (მისი მოთხოვნის მიხედვით):

_____
_____
_____
_____
_____

9. ხელმოწერები:

აქტი შეადგინა:

_____

სახელი, გვარი და თანამდებობა

ხელმოწერა: _____

აქტი წარედგინა:_____

სახელი, გვარი და თანამდებობა

ხელმოწერა:_____

შემოწმებისა და შემოწმების აქტის შედგენის დამსწრე მოწმეები (იმ შემთხვევაში, თუ შემოწმებულმა პირმა თავი აარიდა შემოწმების აქტის ხელმოწერას, ან/და არ დაუშვა შემმოწმებელი ან რაიმე სხვა ფორმით ხელი შეუშალა შემოწმების აქტის შედგენას) :

_____
_____

სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი

ხელმოწერა: _____

დანართი 3. (14.07.2006 N 7)

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
ადმინისტრაციული სამართალდარღვევის
ო ქ მ ი N

_____ _____

ოქმის შედგენის ადგილი ოქმის შედგენის თარიღი

1.საქმის შინაარსი:

_____
_____
_____
_____
_____
_____

2. მონაცემები დამრღვევი პირის (პირთა წრის) შესახებ:

_____
_____
_____
_____
_____
_____

3. ნორმატიული აქტი (კონკრეტული ნორმის მითითებით), რომლითაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა მოცემული დარღვევისთვის:

_____
_____
_____
_____
_____
_____

4. მოწმეთა და დაზარალებულთა გვარები და მისამართები (მათი არსებობის შემთხვევაში):

_____
_____
_____
_____
_____
_____

5. ოქმის შემდგენელის სახელი, mamis saxeli, გვარი და თანამდებობა:

_____

_____

_____

_____

_____

_____

6. administraciuli samarTaldarRvevis Cadenis adgili, dro da arsi

_____

7. დამრღვევის ახსნა-განმარტება:

_____

_____

_____

_____

_____

_____

8. სხვა ცნობები:

_____

_____

_____

_____

_____

_____

პირს, რომელსაც წარედგინა წინამდებარე ოქმი, უფლება აქვს: გაეცნოს საქმის მასალებს; მისცეს ახსნა-განმარტებანი; წარადგინოს მტკიცებულებანი; განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს დედაენაზე და, თუ არ იცის საქართველოს სახელმწიფო ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს კომისიის ადმინისტრაციული აქტი. იმ შემთხვევაში, თუ ეს პირი არ გამოცხადდება საქმის განხილვისას და მისგან არ იქნება შემოსული შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების თაობაზე, საქმე მის დაუსწრებლად განიხილება.

9. ხელმოწერები:

ოქმი შეადგინა: _____

სახელი, mamis saxeli, გვარი და თანამდებობა

ხელმოწერა:

ოქმი წარედგინა:_____

სახელი, გვარი და თანამდებობა

ხელმოწერა:

მოწმეები და დაზარალებულები (მათი არსებობის შემთხვევაში) :

1._____ ხელმოწერა:_____
2._____ ხელმოწერა:_____
3._____ ხელმოწერა:_____

10. იმ შემთხვევაში, თუ პირმა, რომელსაც წარედგინა ოქმი, უარი განაცხადა ოქმის ხელმოწერაზე, ან/და არ დაუშვა ოქმის შემდგენელი ან რაიმე სხვა ფორმით ხელი შეუშალა ოქმის შედგენას, ოქმის შემდგენელი უფლებამოსილია ოქმი შეადგინოს ორი დამოუკიდებელი მოწმის დასწრებით:

ოქმის შედგენის დამსწრე მოწმეები:

1. _____ _____
სახელი, გვარი და თანამდებობა
ხელმოწერა:

2. _____
სახელი, გვარი და თანამდებობა
ხელმოწერა:

3. დაევალოს კომისიის აპარატის სამართლებრივ საკითხთა სამსახურს (კ. ყურაშვილი) დადგენილების საქართველოს ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში გატარება კანონმდებლობით დადგენილი წესით;

დანართი N 4

შეტყობინებათა და ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ გადაწყვეტილების

გ ა დ ა ც ე მ ი ს ა ქ ტ ი

1. გადაცემის ადგილი:
_____
2. გადაცემის თარიღი და დრო:
_____
3. მიმღების ვინაობა:
_____
_____
4. გადაცემული დოკუმენტის დასახელება:
_____
5. გადამცემის ვინაობა:
_____
_____
_____
6. სხვა ინფორმაცია (საჭიროების მიხედვით):_____
_____
_____
_____
_____

7. ხელმოწერები:
აქტი გადასცა:

_____

სახელი, გვარი

_____

ხელმოწერა

აქტი მიიღო:

_____

სახელი, გვარი

_____

ხელმოწერა

დანართი N 5 *(8.04.2005 N6)*

ფონეტიკური ანბანი

A	ანა, ალფა	Alpha
B	ბორისი	Bravo
C	ცენტრი	Charlie
D	დავითი	Delta
E	ეკა, ექო	Echo
F	ფიქრია, ფირუზი	Foxtrot
G	გიორგი	Golf
H	ხათუნა	Hotel
I	ირმა	India
J	ჯუმბერი, ჯანო	Juliet
K	კილოვატი, კონსტანტინე,	Kilo
L	ლამარა	Lima
M	მანანა	Mike
N	ნუკრი	November
O	ოთარი	Oscar
P	პეტრე	Papa
Q	ქეთინო	Quebec
R	რადიო	Romeo
S	სალომე	Sierra
T	თამარი	Tango
U	უშსანგი	Uniform
V	ჟენია, ჟამი	Victor
W	ვენერა	Whisky
X	იქსი	X-ray
Y	იგრეკი	Yankee

Z	ზვიადი	Zulu

დანართი N 6 *(8.04.2005 N6)*

საერთაშორისო Q კოდი

QRA	რა დასახელებისაა თქვენი რადიოსადგური?	ჩემი სადგურის დასახელებაა...
QRB	დაახლოებით რა მანძილზე იმყოფებით ჩემი რადიოსადგურიდან?	მე თქვენი რადიოსადგურიდან ვიმყოფები დაახლოებით ….. კილომეტრში
QRG	შემატყობინეთ ჩემი ზუსტი სიხშირე?	თქვენი ზუსტი სიხშირეა...
QRH	იცვლება თუ არა ჩემი სიხშირე?	თქვენი სიხშირე იცვლება
QRI	ტექნიკურად როგორი ტონი აქვს ჩემს გადაცემას?	თქვენი გადაცემის ტონია...
QRK	როგორ ირჩევა ჩემი სიგნალი?	თქვენი სიგნალი ირჩევა...
QRL	იცით თუ არა თქვენ?	მე ვიცი, გთხოვთ ხელს ნუ მიშლით
QRM	განიცდით თუ არა თქვენ ხელშეშლებს სხვა რადიოსადგურებისგან?	მე განვიცდი ხელშეშლებს სხვა რადიოსადგურებისგან
QRN	ხელს გიშლით თუ არა ატმოსფერული ხელშეშლები?	მე ხელს მიშლის ატმოსფერული ხელშეშლები
QRO	აუცილებლად უნდა გავზარდო სიძლავრე?	გაზარდეთ გადამცემის სიმძლავრე
QRP	აუცილებლად უნდა შევამცირო სიძლავრე?	შეამცირეთ გადამცემის სიმძლავრე
QRQ	უნდა გადავცემდე უფრო სწრაფად?	გადაეცით უფრო სწრაფად
QRS	უნდა გადავცემდე უფრო ნელა?	გადაეცით უფრო ნელა
QRT	უნდა შევწყვიტო გადაცემა?	შეწყვიტეთ გადაცემა
QRU	გააქვთ თქვენ რაიმე ჩემთვის?	მე თქვენთვის არაფერი მაქვს
QRV	მზად ხართ?	მე მზად ვარ
QRW	უნდა შეგატყობინოთ მე …რომ თქვენ იძახებთ მას…... … კილოჰერცზე (ან მეგაჰერცზე)	გთხოვთ შეატყობინეთ მას …რომ მე ვიძახებ მას…… … კილოჰერცზე (ან მეგაჰერცზე)
QRX	როდის გამომიძახებთ მე კვლავ?	მოითმინეთ, მე თქვენ გამოგიძახებთ კვლავ
QRZ	ვინ მიძახებდა მე?	თქვენ გიძახებთ ...
QSB	მილევადია თუ არა ჩემი სიგნალი?	თქვენი სიგნალი მილევადია
QSK	შეგიძლიათ თუ არა ჩემი მოსმენა თქვენი სიგნალის პაუზებში?	მე შემიძლია მოგისმინოთ თქვენ ჩემი სიგნალის პაუზებში
QSL	შეგიძლიათ თუ არა დაამოწმოთ მიღება?	ვამოწმებ თქვენს მიღებას
QSO	შეგიძლიათ თქვენ უშუალოდ დაუკავშირდეთ...?	მე შემიძლია უშუალოდ დავუკავშირდე...
QSP	შეგიძლიათ თქვენ, რომ გადასცეთ...?	მე შემიძლია გადავცე...
QSY	უნდა გადავიდე მე სხვა სიხშირეზე?	გადადით სხვა სიხშირეზე
QSX	ისმენთ თუ არა თქვენ მოსახმობ ნიშანს ... კილოჰერცზე (მეგაჰერცზე)?	მე ვისმენ მოსახმობ ნიშანს .... კილოჰერცის (მეგაჰერცის) სიხშირეზე
QTC	გააქვთ თუ არა შეტყობინება?	მე მაქვს თქვენთვის შეტყობინება
QTH	თქვენი ზუსტი ადგილსამყოფელი?	მე ვიმყოფები...
QTR	მითხარით ზუსტი დრო?	ზუსტი დრო არის... საათი

დანართი N 7 *(8.04.2005 N6)*

რადიოსამოყვარულო კოდი

ABT About - მიახლოებით, ირგვლივ
ADR Addres - მისამართი
AFTER After - შემდეგ, შემდგომ
AGN Again - ხელახლა, ისევ
ALL All - ყველაფერი, ყველა
ALSO Also - ასევე
AM Amplitude Modulation - ამპლიტუდური მოდულაცია
ANT Antenna - ანტენა
AT At -ში, -კენ
BAD, BD Bad - ცუდი
BAND Band - დიაპაზონი
BCNU - მოხარული ვიქნები ხელახალი შეხვედრის
BEAM Beam - მიმართული (ანტენა)
BEST Best - საუკეთესო
BOX Box - ყუთი (საფოსტო)
BUT But - მაგრამ
CALL Call - გამოძახება (მოსახმობი ნიშანი, ამოსაცნობი ნიშანი)
CFM Confirm - დამტკიცება, მტკიცებულება
CHEERIO Cheerio - გისურვებ წარმატებებს
CLG Calling - ვიძახებ, იძახებს
CONDX Conditions - პირობა. რადიოტალღების გავრცელება, სიგნალის სმენადობა
CONGRATS Congratulations - მილოცვა
COPI Copy - ჩაწერა, სიგნალის მიღება
CQ - ყველას, ყველას, ყველას (საერთო გამოძახება)
CU See you - შევხვდებით (ეთერში)
CUAGN See you again - კვლავ შევხვდებით
CUL See you later - შევხვდებით მოგვიანებითe
CW Continuos wave - მორზეს ანბანი (ტელეგრაფი)
DE - დან
DIRECT Direct - უშუალოდ, პირდაპირ
DR Dear - ძვირფასი
DWN Down - ქვემოთ, ქვევით
DX - შორეული კავშირი, შორეული მანძილი, იშვიათი კორესპონდენტთან რადიოკავშირი
ES - და
EX Ex - ყოფილი, წინა (მოსახმობ ნიშანის შესახებ)

FB Fine business - შესანიშნავად, მშვენივრად
FER, FOR, FR For -სთვის, ამასთან
FM From -დან, -გან
FM Frequency modulation - სიხშირული მოდულაცია
FREQ Frequency - სიხშირე
GA Go ahead - დაიწყე, შეუდექი
GA Good afernoon - შუადღე მშვიდობისა (დღის მეორე ნახევარში)
GB Good bye - ნახვამდის, მშვიდობით
GD Good day - შუადღე მშვიდობისა (დღის მეორე ნახევარში)
GE Good evening - საღამო მშვიდობისა
GLD Glad - მოხარული ვარ
GM Good morning - დილა მშვიდობისა
GN Good night - ღამე მშვიდობისა
GND Ground - დამიწება
GOT Got - მივიღე
GUD Good - კარგი, კარგად
GUHOR - არაფერი მესმის
HAM - რადიომოყვარული სამოყვარულო რადიოგადამცემის მფლობელი
HF High frequency - მაღალი სიხშირე
HI - სიცილის გამოხატვა
HOPE, HPE Hope - იმედი
HR Here - აქ
HRD Heard - მოსმენა
HW - როგორ გესმით ჩემი? როგორ არის საქმეები?
INFO Information - ინფორმაცია
K - მიპასუხეთ, გადაეცით
KW Kilowatt - კილოვატი
LAT Latitude - განედი
LF Low frequency - დაბალი სიხშირეები
LID - ცუდი რადიოოპერატორი,
LONG Longitude - გრძედი
LOG Logbook - რადიოსადგურების სია
LSB Lower side band - ქვემო გვერდითი ზოლი
LTR Letter - წერილი
MIKE Microphone - მიკროფონი
MIN Minute - წუთი
MNI Many - ბევრი
MOM Moment - მომენტი
MSG Message - შეტყობინება
MTR Meter - მეტრი, გაზომვა
NEAR, NR Near - ახლოს

NBFM Narrow band frequency modulation - ვიწროზოლოვანი სიხშირული მოდულაცია
NIL - არაფერი
NR Number - ნომერი
NW Now - ახლა, გადავდივარ გადაცემაზე
OK - გასაგებია, ნათელია, სწორია
OM Old man - ახლობელო (სიტყვასიტყვით - ძველო)
ONLY Only - მხოლოდ
OP, OPR Operator - ოპერატორი, რადისტი
OUTPT Output - გამოსავალი სიმძლავრე
PA Power amplifier - ძლიერი გამაძლიერებელი
PM Post meridiem - მერედიემ შუადღით
PSE Please - თხოვნა, გთხოვთ
PSED Pleased - მოხარული, კმაყოფილი
PWR Power - სიმძლავრე
R Right - სწორია, გამართლებულია
RCV Recevie - მიღება, მიღებულია
RCVR Recevier - მიმღები
REPT,RPRT Report - შეტყობინება, რაპორტი
RIG - გადამცემი
RPT Repeat - გამეორება, გაიმეორეთ
RTTY Radioteletype - რადიოკავშირის სახეობა
SIGS Signals - სიგნალები
SKED Schedule - მუშაობის განრიგი
SM,SUM Soon - ზოგი, რამდენიმე
SOON,SN Soon - მალე, სწრაფად
SORI,SRI Sorry - ვწუხვარ, სამწუხაროა
SSB Single side band - ერთზოლოვანი მოდულაცია
STN Station - სადგური
SURE Sure - დარწმუნება
SWL Short wave listener - რადიომოყვარული დამკვირვებელი
SWR Standing wave ratio - მდგრადი ტალღის კოეფიციენტი
TEST Test - გამოცდა, შეჯიბრება რადიომოყვარულებს შორის
TIME Time - დრო
TKS Thanks - მადლიერების გამოხატვა
TNX Thanks - მადლიერების გამოხატვა
TRCVR Trancevier - ტრანსივერი ანუ მიმღებ-გადამცემი
TU Thank you - გმადლობთ
TUBE Tube - მილაკი
TVI Television interference - ტელევიზორისთვის ხელშეშლის შექმნა
TX Transmitter - გადამცემი
TXT Text - ტექსტი

U You - თქვენ
UFB Ultra fb - შესანიშნავია
UNLIS Unlicenced - არალეგალური, ულიცენზიო რადიოსადგური
UP Up - ზემოთ, მაღლა
UR Your - თქვენი
URS Yours - თქვენით
USB Upper side band - ზემო გვერდითი ზოლი
VIA Via - უშუალოდ, -ით
VFO Variable frequency oscillator - ცვლადი დიაპაზონის გენერატორი
VHF Very high frequency - ზემაღალი სიხშირეები
VY Very - ძალიან
WTTS Watts - ვატი
WEAK Weak - სუსტი
WID with -თან
WKD Worked - ვიმუშავე
WLL will - იქნება, ვიქნები, უნდა იყოს
WRK Work - მუშაობა, სამუშაო
WRKD Worked - ვიმუშავე
WW World-wide - მთელი მსოფლიო
WX Weather - ამინდი
XTAL Crystal - კვარცული გენერატორი
XYL Ex Young Lady - ცოლი
YES Yes - დიახ, კი
YL Young Lady - ქალიშვილი
73 — საუკეთესო სურვილები
88 — სიყვარული და კოცნა (გადაიცემა ხუმრობით)
AS — დაელოდეთ
AR — გადაცემის დასასრული
BK — ნახევარდუპლექსით მუშაობა
BT — გაყოფის ნიშანი
KN — ვუსმენ მხოლოდ საკუთარ ‘კორესპონდენტს’
SK — რადიოკავშირის დასასრული

დანართი N 8. სამოყვარულო რადიოსადგურის კატეგორიები „A“ „E“ და ექსტრა
(8.04.2005 N6)

სიხშირეთ ზოლი	სიმძლავრე (ვტ)	გამოსხივების კლასი	სიხშირეთ ზოლი	სიმძლავრე(ვტ)	გამოსხივების კლასი
135,7-137,8 KHz 1810-1838 KHz	100 W 1000W	CW	18110-18318 KHz	1000 W	Phone; CW
1838-1840 KHz	1000W	ციფრული (PACKET –ის გარადა); CW	21000-21080 KHz	1000W	CW
1840-1850 KHz	1000W	ციფრული (PACKET –ის გარადა); 3KOOR3E;3KOOJ3E;	21080-21100 KHz	1000W	ციფრული; CW

		CW			
1850-2000 KHz	< =10W	3KOOR3E;3KOOJ3E; 6KOOR3E; CW	21100-21120 KHz	1000W	ციფრული; უპირატესად (packet); CW
3500-3510 KHz	1000W	DX;CW	21120-21149 KHz	1000W	CW
3500-3560 KHz	1000W	CW; (უპირატესადcontest CW)	21149-21151 KHz	1000W	IBP
3560-3580 KHz	1000W	CW	21151-21450 KHz	1000W	Phone; CW
3580-3590 KHz	1000W	ციფრული; CW	21340 KHz	1000W	გამოსამახებელი სიხშირე SSTV და FAX
3590-3600 KHz	1000W	ციფრული; უპირატესად (packet); CW	24890-24920 KHz	1000W	CW
3600-3620 KHz	1000W	ციფრული; CW	24920-24929 KHz	1000W	ციფრული; CW
3600-3650 KHz	1000W	Phone, (უპირატესადcontest phone);CW	24929-24931 KHz 24930-25139 KHz	1000W	IBP Phone; CW
3650-3775 KHz	1000W	Phone; CW	24930-25139 KHz	1000W	Phone; CW
3700-3800 KHz	1000W	Phone, (უპირატესად contest phone);CW	28000-28050 KHz	1000W	CW
3730-3740 KHz	1000W	SSTV; FAX, phone, CW	28050-28120 KHz	1000W	ციფრული; CW
3775-3800 KHz	1000W	Dx phone; CW	28120-28150 KHz	1000W	ციფრული; უპირატესად (packet); CW
7000-7035 KHz	1000W	CW	28150-28190 KHz	1000W	CW
7035-7040 KHz	1000W	ციფრული; (PACKET – ის გარადა); SSTV; FAX; CW	28190--29199 KHz	1000W	რეგიონალური IBP დროითი დაყოფით
7040-7045 KHz	1000W	ციფრული; (PACKET – ის გარადა); SSTV; FAX; phone; CW	28201-28225 KHz	1000W	მუდვიმმოქმედი IBP
7045-7100 KHz	1000W	phone; CW	28225-29200 KHz	1000W	phone; CW
10100-10140 KHz	1000W	CW	28680 KHz	1000W	გამოსამახებელი სიხშირე SSTV და FAX
10140-10150 KHz	1000W	ციფრული; (PACKET – ის გარადა); CW	29200-29300 KHz	1000W	ციფრული; (NBFM PACKET);phone; CW
14000-14070 KHz	1000W	CW;	29300-29520 KHz	1000W	თანამგზავრული downeink
14000-14060 KHz	1000W	CW; (უპრატესად contest CW)	29510-29700 KHz	1000W	Phone; CW
14070-14089 KHz	1000W	ციფრული; CW	144-146 MHz	100W	ციფრული; 6KOOF3E; 24KOF3E; 3KOOR3E; 3KOOJ3E;
14089-14099 KHz	1000W	ციფრული; (უპირატესად არაავტომატური (PACKET); CW	430-440 MHz	100W	3KOOR3E; 3KOOJ3E; 6KOOF3E; 24KOF3E;
14099-14101 KHz	1000W	IBP	1240-1300 MHz	10W	ციფრული
1401-14112 KHz	1000W	ციფრული(უპირატესად დაგროვება-რეტრანსლაცია) Phone; CW	2320-2450 MHz	10W	3KOOR3E;
14112-14125 KHz	1000W	Phone; CW	5650-5850 MHz	10W	3KOOJ3E;
14125-14300 KHz	1000W	Phone უპირატესად (contest phone); CW	10-10.5 GHz	5W	
14230 KHz	1000W	გამოსამახებელი სიხშირე SSTV და FAX	47-47.2 GHz	5W	6KOOA3E;
14300-14350 KHz	1000W	Phone;CW	75.5-81 GHz	5W	6KOOF3E;
18068-18100 KHz	1000W	CW	119-120.026 GHz	5W	
18100-18109 KHz	1000W	ციფრული; CW	142-149 GHz	5W	24KOF3E;
18109-1811 KHz	1000W	IBP	241-250 GHz	5W	

„B“ კატეგორია

სიხშირეთა ზოლი	სიმძლავრე(ვტ)	გამოსხივების კლასი	სიხშირეთ ზოლი	სიმძლავრე (ვტ)	გამოსხივების კლასი
135,7-137,8 KHz 1820 2000 KHz	100 W 500W	100HAIA	21000-21450 KHz	500 W	100HAIA
1840 -2000 KHz	10W	3KOOR3E;3KOOJ3E	21080-21120 KHz	500W	ციფრული
1900-2000 KHz	500W	6KOOR3E	21150-21450 KHz		3KOOR3E;3KOOJ3E
3500-3800 KHz	500W	100HAIA	24890-24990 KHz	500W	100HAIA
3580-3620 KHz	500W	ციფრული	24920-24929 KHz	500W	ციფრული

3600-3800 KHz	500W	3KOOR3E;3KOOJ3E	24930-24990 KHz	500W	3KOOR3E;3KOOJ3E
3730-3740 KHz	500W	SSTV;FAX	28000-28700 KHz	500W	100HAIA
7000-7100 KHz	500W	100HAIA	28050-28150 KHz	500W	ციფრული
7035-7045 KHz	500W	ციფრული; SSTV;FAX	28200-29700 KHz	500W	3KOOR3E;3KOOJ3E
7040-7100 KHz	500W	3KOOR3E;3KOOJ3E	144-146 MHz	25W	100HAIA 6KOOF3E;
10100-10150 KHz	500W	100HAIA	430-440 MHz	25W	24KOOF3E;
10140-10150 KHz	500W	100HAIA			3KOOR3E;3KOOJ3E
14000-14070 KHz	500W	CW	1240-1300 MHz	5W	100HAIA 24KOOF3E 3KOOR3E; 3KOOJ3E 6KOOA3E; 6KOOF3E;
14000-14060 KHz	500W	CW(უპირატესად contest CW)	2320-2450 MHz	5W	
14070-14089 KHz	500W	ციფრული; CW	5650-5850 MHz	5W	
14089-14099 KHz	500W	ციფრული; (უპირატესად არაავტომატური packet); CW	10-10.5GHz	5W	
14099-14101 KHz	500W	IBP	24-24.5 GHz	5W	
14101-14112 KHz	500W	ციფრული (უპირატესად დაგროვება_ რეტრანსლაცია) POHONE CW	47-47.2 GHz	5W	
14230 KHz	500W	SSTV;FAX	75.5-81 GHz	5W	
18068-18168 KHz	500W	100HAIA	119.98-12002 GHz	5W	
18100-18109 KHz	500W	ციფრული;	142-149 GHz	5W	
18110-18168 KHz	500W	3KOOR3E;3KOOJ3E	241-250 GHz	5W	

„C“ კატეგორია

სიხშირეთა ზოლი	სიმძლავრე(ვტ)	გამოსხივების კლასი	სიხშირეთ ზოლი	სიმძლავრე (ვტ)	გამოსხივების კლასი
135,7-137,8 KHz 1820 -2000 KHz	100 W 100W	100HAIA	430-400 MHz	5 W	100HAIA 3KOOR3E;3KOOJ3E 6KOOA3E; 6KOOF3E; 24KOOF3E;
1850-2000 KHz	100W	3KOOR3E;3KOOJ3E	1240-1300 MHz	5 W	
1900-2000 KHz	100W	6KOOR3E	2320-2450 MHz	5 W	
3500-3650 KHz	100W	100HAIA	5650-5850 MHz	5 W	
3650-3700 KHz	100W	3KOOR3E;3KOOJ3E	10-10.5GHz	5 W	
21000-21450 KHz	100W	100HAIA	24-24.5 GHz	5 W	
28000-29700 KHz	100W	100HAIA	47-47.2 GHz	5 W	
28200-29700 KHz	100W	3KOOR3E;3KOOJ3E	75.5-81 GHz	5 W	
29200-29700 KHz	100W	6KOOR3E	11998-12002 GHz	5 W	
144-146MHz	5W	100HAIA 6KOOF3E; 24KOOF3E; 3KOOR3E;3KOOJ3E	142-149 GHz	5 W	

დანართი N9 *(24.03.2006 N4)*

სააღსრულებო ფურცელი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილება _____

გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

კომისიამ გადაწყვიტა:

_____
_____
_____
_____
_____
_____

სააღსრულებო ფურცლის გაცემის თარიღი: _____
მოვალის დასახელება და რეკვიზიტები:_____

კრედიტორის დასახელება და რეკვიზიტები:
საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი;
რეკვიზიტები:
_____
_____
_____
_____

კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ბ.ა.